

მესამე კავშირებითი თანამედროვე ქართულ
სალიტერატურო ენაში

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მესამე კავშირებითი ყველაზე ნაკლებად ხმარებული ნაკვთია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მესამე კავშირებითის ნაცვლად ხშირად თანამედროვე ქართულში გამოიყენება მეორე თურმეობითი¹. კერძოდ, ცნობილია, რომ პირობითი და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ წინადადებაში მესამე კავშირებითის ცვლის მეორე თურმეობითი².

მესამე კავშირებითის ხმარების ძირითად შემთხვევებზე მსჯელობისას შ. ძიძიგურს აღნიშნული აქვს, რომ „ამ კონსტრუქციებში III კავშირებითი არაა ერთადერთი მწკრივი. მის ადგილას რომ II თურმეობითი ჩაესვათ, ეს იქნება სრულიად ნორმალური კონსტრუქცია თანამედროვე მეტყველებაში... თანამედროვე ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში მეტი ხვედრითი წონა აქვს სათანადო კონსტრუქციებში II თურმეობითის შემცველ ფორმებს“³.

ცნობილია პირუკუ შემთხვევაც. ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად რაჭული დიალექტისათვის, რომელმაც საერთოდ ყველაზე მტკიცედ შემოინახა III კავშირებითის ფორმები, მიჩნეულია მეორე

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 223; შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970, გვ. 250; ა. კიზირია, ქართული ენა, თბილისი, 1974, გვ. 109; ე. ფეიქროშვილი, მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში, საქანდიდატო დისერტაცია, ქუთაისი, 1972 წ.

² ლ. კვაჭიძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1958, გვ. 246; ლ. გეგუჩაძე, დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, საქანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1974, გვ. 23, 74, 75.

³ შ. ძიძიგური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 250.

თურმეობითის შინაარსის გადმოცემა მესამე კავშირებითის ფორმებით⁴.

ჩვენი მიზანი იყო III კავშირებითის სინტაქსური არის გარკვევა, გამოყოფა იმ ძირითადი შეხამებებისა, რომლებსაც იგი ქმნის ანდა უნდა ქმნიდეს, აღნუსხვა იმ ძირითადი ფუნქციებისა და შინაარსობრივი ნიუანსებისა, რაც მას წინადადებაში მოეპოვება.

1. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ III კავშირებითი ძირითადად რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში გვხვდება, და ისიც მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში. იგი გამოხატავს შესაძლო, სავარაუდო მოქმედებას ან მის უარყოფას წარსულში და სასურველს მომავალში.

მესამე კავშირებითი მარტივ წინადადებაშიც შეგვხვდა. მაგრამ მისთვის რომ სწორედ ჰიპოტაქსური კონსტრუქციისა დამახასიათებელი, იქიდანაც ჩანს, რომ მოცემული მარტივის მთლიანი შინაარსის გაგება შეუძლებელია მეზობელი წინადადებების შინაარსის გაუთვალისწინებლად.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ტანში გამკრა. თითქოსდა მანულის ბუჩქიდან სვილით გამოშვრალი შიხის ვველი დამენახოს (რ. ჯაფ.).

რაპოხინების ოჯახში კი ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა. თითქოს ბარათი არც მიეღოთ (კომ.).

ეს წინადადებები უთუოდ რთულ წინადადებებადაა მოაზრებული და შემდეგაა გათიშული და დანაწილებული. კავშირი დამოკიდებულსა და მთავარს შორის შესუსტებულია კორელატის უჭონლობის ან დაკარგვის გამო. ზოგჯერ ეს მწერლის სტილის თავისებურებითაა გამოწვეული. ყოველთვის არ ხერხდება მეზობელი წინადადებების დაკავშირება იმის საჩვენებლად, რომ მარტივი წინადადება რთულისგანაა გამოყოფილი. საქმე გვაქვს ერთგვარ ელიფსის მოვლენასთან. დაკარგულია ან იგულისხმება რაღაც აზრი, კონტექსტი, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება ასეთ მარტივ წინადადებას⁵.

⁴ შ. ძიძიგური, დასახლებული ნაშრომი, გვ. 194.

⁵ ტერმინი მარტივი აქ პირობითადაა ნახმარი. მასში ვგულისხმობთ წინადადების აგვის წესს III კავშირებითთან მიმართებაში. რთულ და შერწყმულ წინადადებას, რომელთა ტიპი არაა განპირობებული III კავშირებითის ხმარებით, წვენ პირობითად მარტივებად განვიხილავთ.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

როგორც იქნა თავიდან მოვიშორეთ, — თქვა თავმჯდომარემ. — თითქოს გულიდან ლოდი ჩამომხსნოდეს („კომ.“).

ვაზო, შვილივით ნაზარდო! — ეს დიდებული ქართული სიმღერა თითქოს არასოდეს მისწვდომოდეს მათ ყურს („ლიტ. საქ.“).

უფრო დაშორებულა:

თითქოს თვითონ დამდგომოდეს თავს ნაპინარევს შავგერმანი ჭაბუკი, აშლილი უღვაშით, როგორც გავაცოლეთ, ისეთივე მზიარულა და თმახიანი (გ. შატბ.).

თითქოს ამ არგ-მარეში ერთი ტყვიაც კი არასოდეს გავადინოდიყოს („ახ. კომ.“).

მარტივად ვერ ჩავთვლით (III კავშირებითისათვის) ე. წ. ინფინიტური კონსტრუქციის შემცველ წინადადებებს, რომლებიც წარმოშობით აგრეთვე რთულია:

ანდა შეიძლება ერთნაირი სიუჟეტის ამბავი დამოუკიდებლადაც წარმოშობილიყოს სხვადასხვა ქვეყანაში (გ. ჰელ.).

ამ წერილის ილიასეულობის შესახებ დღემდე არ ახსოვთ რაიმე გასოქვეყნებულ იყოს („სკოლა და ცხოვრება“).

შეიძლება კი არ ჰყოლოდეს? (გ. ჰელ.).

III კავშირებითი ფართოდ გამოიყენება დალოცვის ფორმულებში. ამ შემთხვევაში, მართალია, უმეტესად მარტივწინადადებათა კონსტრუქცია გვაქვს, მაგრამ აქაც ძნელი არაა აღვადგინოთ სურვილის აღმნიშვნელი ზმნები — გისურვებ, ვუსურვებ, მინდა და ა. შ., რაც კონსტრუქციის ჰიპოტაქსურობაზე მეტყველებს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

მუდამ ასე შეგცვლოდეთ კირი ლხინით (გ. შატბ.).

კვლავაც გეთესოთ ბაჩაღლო ოქრო მშობელი ქვეყნის ხნულში, გეთესოთ და ერთი ასად ამოსულიყოს (რ. ჯაფ.).

ახალგაზრდული თეატრის ავტორიტეტი გაზრდილიყოს და ასობით და ათასობით ქართველი მაყურებლის გული გაეხარებინოს, მერე მშობლიურ საზღვრებსაც გასცდენოდეს და სხვა ეროვნების თეატრალური ხელოვნების მოკვარულთა აღიარებაც მოეპოვებინოს („ახ. კომ.“).

ზოგჯერ წინადადება იწყება დაე ნაწილაკით, რომელიც აგრეთვე ზმნური წარმოშობისაა, ანდა ნაწილაკად ქცეული სიტყვებით მოდი, აგრემც... ისინი იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სურვილის გამომხატველი ზმნა.

6 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 613.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

დაე, ახალ-ახალი გამარჯვებებით, ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით შევხვედროდეთ საბჭოთა საქართველოს ყოველ ახალ იუბილეს („ლიტ. საქ.“).

დაე, ახალი წელი დიდ სიახლეთა მომტანი ყოფილიყო („ახ. კომ.“).

მოდი, ორივეთი გამარჯვებული ყოფილიყო მუდამ ქართული ვაზი, ჩვენც მათთან ერთად გაგვმარჯვებოდეს („ლიტ. საქ.“).

აგრემც ყველა კეთილი წინაგრანობა ასე გამართლებოდეთ გურისა და მის ძმაცებს“ („ცისკარი“).

აქვე უნდა განვიხილოთ პირობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ის რთული წინადადებები, რომლებშიც III კავშირებითი არის არა დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ მთავარში. ეს იმიტომ, რომ მოცემული მთავარი წინადადება წარმოშობით დამოკიდებულია. თუ აღვადგენთ სიტყვებს — ვუსურვებ, დაე, მოდი, აგრემც... და ა. შ., გამოჩნდება თანამიმდევრული დაქვემდებარება. შეიძლება ეს სიტყვები ამ ტიპის წინადადებებში არც გვქონდა და მათი არსებობა იგულისხმებოდა დამოკიდებული წინადადების შინაარსით. ყოველ შემთხვევაში, ამ სახის წინადადებების არსებობა ვერ უარყოფს იმას, რომ III კავშირებითი მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

შვიდი შვილი მყავს, ის შვიდი შვილი სათითაოდ გამეტანოს დღეიდან სწორადღე, თუ ტუთილად გითხრათ რამე და სიმართლის გზიდან გადავუხვიო („რ. ჭაფ.“).

მაშინ მეორე თვალი დამფსებოდეს, თუ მართალს არ ეჩიოდე („დუმბ.“).

თუ განვებამ ნგრევა ინება, წასახლარზეც ისევ სახლის კედლები ამოყვანილიყო („ცისკარი“).

ხშირად წინადადებაში არაა დაკარგული სურვილის გამომხატველი ზმნა; იგი ხან მძიმითაა გამოყოფილი, ხან არა, ე. ი. წინადადება ხან რთულადაა ჩათვლილი, ხან მარტივად, ინფინიტიური კონსტრუქციისად.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

გისურვებთ კვლავაც ასე მზნედ გეშრომით („დროშა“).

ავტორს ვუსურვებ ბრწყინვალედ გაეგრულებინოს თავისი ჩანაფიქრი („წიგნის ხამყარო“).

გისურვებთ, თქვენი გულისნადები საესებით გამოგეტქვასთ („დორთქ.“).

ვუსურვებთ, ბედნიერად გადაეღახოს ცხრა მთა და ცხრა მდინარე („ახ. კომ.“).

II. დროის მიხედვით დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნული მოქმედება (III კავშირებითი გამოხატული) უსწრებს მთავარი წინადადების ზმნით აღნიშნულ მოქმედებას.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ამ დროს ხმის აყოლა ისეთი ძლიერი რამ იყო, რომ ძვირად ნახევრით მისთანა ახალგაზრდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვას და ცილი არ შეეწამებინოს (აკაკი).

ყველამ შეთასხმებული ჩვენება მისცა, თითქოს კვაპანტირაძეს დამე მართლა იმ ვანშამზე გაეტყუებინოს (მ. ჯავ.).

დაპირავს ზუსტად, მხოლოდ მისთვის შესამჩნევ წერტილში, თითქოს იქ ვიდეას მღე გაეტყუებინოს მისანიშნებლად („ღელი“).

ასეთი დროული უწინარესობა არ ვრცელდება მხოლოდ ნატვრითი შინაარსის წინადადებებში, სადაც III კავშირებითი მომავალი დროის ფუნქციით გამოიყენება.

III. ნატვრითი კილოს შინაარსის გამოხატვა III კავშირებითის ერთი ძირითადი ფუნქციათაგანია.

ნატვრითი შინაარსის მქონე დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებას ძირითადად რომ კავშირის საშუალებით უკავშირდება.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ჰქენ ისე, რომ არასოდეს გამხდარაყოს ავად, არასოდეს („საქ. ქალი“).

ღმერთმა ჰქნის, რომ სურვილი შეგსრულეზოდეს (აკაკი).

IV. გარდა ნატვრითისა, III კავშირებითის ზოგი სხვა შინაარსის გამოხატვაც შეუძლია. ამ ნაკეთის ფორმით გადმოცემული ზმნა გამოხატავს ეჭვს, შესაძლებლობას, ვარაუდს, შედარებას.

მესამე კავშირებითის შემცველი წინადადებისათვის ნიშანდობლივია ის, რომ:

ა) ან დამოკიდებული წინადადება აზუსტებს, ადარებს რაიმესთან მთავარი წინადადებით გადმოცემულ შინაარსსა თუ მის რომელიმე წევრს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ყოველ გაზაფხულზე აკეთებენ ამას ისეთი ველმოდგინებით, თითქოს ბირველად აღიღებულიყოს სუფსა (ნ. დუმბ.).

თითქოს ცა ჩანთქცეულიყოს, ყველა ერთბაშად აფორიაქდა („ციხკარი“).

მზიარულად ბოლავდნენ სახურავებზე დასკებული საკვამურები, თითქოს ზეციურ ზომალდებს ახალი დედაშიწა ჩამოეტანათ („ციხკარი“).

ბ) ანდა დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული ფაქტის შესაძლებლობა მთავარ წინადადებაში კატეგორიულადაა გამოხატული ან კიდევ ნაკლებად დაშვებული.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

შე არ მახსოვს ჩვენი ისეთი საუბარი, თქვენ ზედის არ გეხსენებინოთ („ციცკარი“).

არ უოფილა შემთხვევა, ლეიან მასწავლებელს რომელიმე მოსწავლის შრობელი დაე ბ ა რ ე ბ ი ნ ო ს ს კ ო ლ ა შ ი შვილის ცუდი საქციელისათვის (ნ. ლუმა.).

ვიბრძოდი და არც ერთი მოვლინება არ უოფილა ზეენში, რომ მეც ჩემებური მონაწილეობა არ მიმეღოს (აკაკი).

არაფინ დარჩა დღევანდელ საჭადრაკო სამყაროში წამყვან ოსტატთაგან, ამ მოჭადრაკეს ერთხელ მაინც რომ არ დაე მ ა რ ც ხ ე ბ ი ნ ო ს („დროშა“).

პირველი ჯგუფის წინადადებები ძირითადად თითქოს ნაწილაკიანებია და ფაქტის შედარება თუ დაზუსტება დაკავშირებულია ეჭვთან, მსგავსებასთან, ხოლო მეორე სახის წინადადებები შეერთებულია ძირითადად რომ და თუ? კავშირებით და მთავარი წინადადების ზმნა უკუთქმითი შინაარსისაა. ამიტომ, იმისათვის, რომ მოიხსნას მთავარ წინადადებაში გამოთქმული ეჭვი ან უარყოფა, დამოკიდებული წინადადების ზმნას (III კავშირებითის ფორმას) საჭიროა დაემატოს უარყოფითი ნაწილაკი, — მოვლენა, ფაქტი შეფასდება დადებითად. ე. ი. წართქმითი შინაარსის დამოკიდებული წინადადებისათვის III კავშირებითთან საჭიროა უარყოფითი ნაწილაკები (ანდა ნაკლულევანების აღმნიშვნელი სიტყვები: ნაკლებად, ცოტა...) და, პირიქით, უკუთქმითი შინაარსი III კავშირებითით გადმოიცემა უარყოფითი ნაწილაკების გარეშე. მაგალითად: „ნაცნობმა სახელმა, რომელიც თვითონვე წამოსცდა, გაამხნევა, თითქოს ამ უსიერ ტყეში გულითად მეგობარს შე ხ ვ ე დ რ ო დ ე ს“ — რ. ჯაფ. — დამოკიდებულის შინაარსი უკუთქმითია; „პო, ხუმრობა-გაშვებით, ამ სახლში კუთხე არ არის, ჩემი ნაყურთხი სიტყვა არ მო ხ ვ ე დ რ ო დ ე ს“ — გ. შატბ. — შინაარსი წართქმითია.

V. შესამე კავშირებითი შეგვხვდა ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში, გარდა დროის გარემოებითი, ადგილის გარემოებითი და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისა. ამასთან,

7 თუ კავშირით პირობითი სახის დამოკიდებული წინადადებები არიან დაკავშირებულნი მთავართან. მთავარ წინადადებაში აქ ვაქვს არა კატეგორიული გამოხატულება, არამედ მოთხოვნა, ერთგვარად რიტორიკული ხასიათისი. მაგალითად: „აღრე და მალე აიგავოს მტერსაკვით ეს ობოლი თავი, თუ აღმზინის დალტი ოდესმე გულში გამტარებოდეს“ — ილია.

ყველაზე ხშირია მისი ხმარება განსაზღვრებითსა და ვითარების გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში.

მიზნის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში და პირობითს დამოკიდებულ წინადადებაში, როდესაც „მიზან-პირობითობა-წარსულის აქტია“, უნდა გვექნოდნა III კავშირებითი⁸. თანამედროვე ქართულში პირობითს დამოკიდებულ წინადადებებში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, III კავშირებითი შეგვხვდა; მიზნის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებებში კი ყველგან II თურმეობითია გამოყენებული კავშირებითის ფუნქციით. განსხვავებულ სურათს გვაძლევს რაჭული კილო, სადაც ამგვარ წინადადებებში ყოველთვის გვაქვს III კავშირებითის ფორმა. ვარაუდობენ, რომ ამ მხრივ რაჭული წარმოგვიდგენს უძველესი ქართულის ვითარებას⁹.

III კავშირებითის შემცველი ისეთი რთული დაქვემდებარებული წინადადებები, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება ქვემდებარებულია, იშვიათია. დამოკიდებულის მიმართება მთავარი წინადადების ქვემდებარესთან არაა მკვეთრად გამოხატული. შინაითიბელი სიტყვა თითქმის არასდროს არა გვაქვს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გ ა რ ო ზ გ ვ ი ლ ი ყ ო ს“ სხვადასხვა უფროსისაგან (აკაკი).

მე მგონი ისეთი მასშტაბის მუსიკალურ კონკურსზე, როგორც ჩაივთვსკის სახელობის კონკურსია, ჯერ არ ყოფილა, რომ ეთერის ასაკში მუსიკოსს ესოდენ დიდი წარმატებისათვის მიეღწეოდას (კომ¹⁰).

თამაში უაღრესად დაძაბული იყო და საეჭვოა, მაყურებლებისათვის სიამოვნება მიეწიოდა თუ არა, რადგან დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა („ლელო“).

თითქოს მხოლოდ ის შეექმნას ქართველი ხალხის გენიას, რამაც ჩვენს დრომდე მოაღწია (ვ. ჰელ).

დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული დაქვემდებარებული წინადადებები, რომლებშიც III კავშირებითი იხმარება, უფრო ხშირად გვაქვს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

სათნო იესო იყოს ჩვენ შორის მსაჯული და მოგვიტოსო უფალმა, ყოვლის მეცნიერმა, რაც ჩემთვის ზიანი და ვაება მოგეყენებინოს (ნ. ლორთქ).

შენ გაბრალებენ, ვითომ ქრისტესათვის გელაღატნოს და ეშმაკებს მიჰკერძოდე... ვითომ მვენებლობასთან და ბოროტთან კავშირი შეგე-

⁸ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 245-247.

⁹ იქვე, გვ. 247.

კრას და ამის დასამტკიცებლად შენზე ბევრ რამეს ამბობენ შენი აქამდე საყვარელი მეზობლები და ამზანაგები (დ. კლდ.).

ვგებ ვინმე იფიქროს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი და საქმეშიც აჩქარებული მამაჩემი შატე ჰქუის ყოფილიყოს (აკაკი).

ზოგი ამბის მონაწილე რომ თვითონ ყოფილიყოს, არ მჯერა (რ. ინან.).

პარტიულ კრებებზე იშვიათად შეხედებით, რომ ეს საკითხი მკაცრად განვიხილოთ, საქმიანი ღონისძიებები დაეცახოთ („კომ.“).

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მისი გუნება ძმებისაგან მიყენებულ შეურაცხყოფას შეეცვალოს (გ. შატბ.).

ამით ის კი არ გვიანდა ვთქვათ, თითქოს რომის უღელი სასიამოვნო ყოფილიყოს ხალხისათვის (ვ. ქელ.).

III კავშირებითი ყველაზე უფრო ხშირად განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში გვხვდება. გამოიყოფა ამგვარი დამოკიდებული წინადადების ორგვარი სახეობა: პირველი, — როცა დამოკიდებული წინადადება მთავრის ერთ რომელსაზე წვევს განსაზღვრავს, და მეორე, როცა მთავარ წინადადებაში არაა მკვეთრად გამოყოფილი სიტყვა, რომლის განმსაზღვრელიც იქნებოდა დამოკიდებული წინადადება.

პირველი სახეობის ნიმუშებია:

სახეზე იმნაირი იერი დაჰკრავდა, თითქოს იარაღმომარჯვებული მოწინააღმდეგე წამოსდგომოდეს თავსა და არ იცის მოჰკლავს თუ ატოცებებს (გ. სორგ.).

არ იყო შეგუანაზე კაცი, რომ ემუხვარისათვის მართლაში და ჯირითის ტყორცნაში ეჭობნოს (დ. შენგ.).

ბევრი გველი მინახავს — ჯერ გულში ჩასტერგნოდეს და მერე კი დაეშხამოს (ილია).

მთელი თვის განმავლობაში არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომ საგუშავგოსთან დაგვეცავებინოს პატროსანი მშრომელი ადამიანი („კომ.“).

დაინახა, რომ ქალის თვალები ეღვუჯასაკენ იყვნენ მოქცეულები და ისეთი ხანით უყურებდნენ, თითქოს იმათაც ეგრძნოთ მოხვევის გულის მოჭრაობა (ა. უაზბ.).

შესაძება თვითონ უძეო და ბერწმა ტორიმ ისეთი აღტაცებით, თითქოს ეს ბავშვი მას ეშობოს (დ. შენგ.).

როგორც კი გამოჩნდა ტყუში კვიპაროსის გარინდული კენწეროები და ხგლიკისფერი სახურაფი, ადგილზე გაქვავდა, მუხლი მოუკვეთა და ისეთი სისუსტიეგრძნო, თითქოს მთელი წლის მწოლარე ავადმყოფი ძალით წამოეგდოთ ფეხზე (ო. ქილ.).

შე დიდი ხანია წამოსული ვარ საქართველოდან და არ ყოფილა არც ერთი დღე, მასზე არ მეფიქროს (მ. გელოვანი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების მეორე რიგი რამდენადმე განსხვავდებოდა ზემომოყ-

ვანილი წინადადებებისაგან. მთავარ წინადადებაში არაა მკვეთრად გამოყოფილი სიტყვა, რომლის განმსაზღვრელიც იქნებოდა დამოკიდებული წინადადება. ზოგ შემთხვევაში ზმნური სინტაგმის განმარტებაა დამოკიდებული წინადადება, ზოგჯერ კი თითქოს მთელი მთავარი წინადადებისა. მთავარ წინადადებაში გადმოცემული შინაარსი დამოკიდებულში შედარებულია რაიმე ფაქტთან ან მოვლენასთან. ასეთი სახის დამოკიდებულებს უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ განსაზღვრებით-შედარებითს ვუწოდებდით.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

აღარ ეტყობოდა სისუსტე, თითქოს ავადაც არ უოფილიყოს
(**5. ლორთქ.**)

გაფაციცებით უტრიალებდა ვაზს, თითქოსდა მართლა შეჯიბრებოდეს ვინმეს („სოფლის ცხოვრება“).

იღვა თავისთვის დინჯალ, ყურსაც არ იბღერტდა, თითქოს ბუზიც არ აქფრენოდეს (ვაჟა).

რაღაც დონდლოდ და უგერგილოდ მიჰქონდა მოწყვეტილი ფეხები, თითქოს ფქვილი ქოჩრათ კი არა, აბფუთიანი ტომრით მიეტანოს შინ (გ. შატბ.).

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული დაქვემდებარებული წინადადებები, რომლებშიც III კავშირებითი გვხვდება, უმეტესად ასეთი მოდელისაა:

ისე (მთავარ წინადადებაში) — ნაწილაკი + III კავშირებითი (დამოკიდებულ წინადადებაში).

ამ კონსტრუქციის წინადადებები ძალიან ბევრი გვაქვს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

თითქოს უზარმაზარი ტვირთი დამეგდოს, ისე ვავიმართე მხრებში და თავისუფლად ამოვისუნთქე (**5. დუშბ.**).

ისე ერიდებოდა და ეკარალებოდა კვაჭს, თითქოს მას, უკვე გამოჩერებულ დედაყვს, მოეტყუებინოს, გაექურდოს და ხელყარივლი დაეტოვებინოს კვაჭუნა (**მ. ჯავ.**).

კისერზე დაკიდული კატრები ისე აწუხებდა, თითქოს ფუთობით ტვირთი ჰკიდებოდეს (**რ. ინან.**).

გოგონამ ისე შემომხედა, თითქოს კარაქიან პურს აღარ შეეგამ-მეთქი, დავმუქრებოდე (**ს. ცისკარი**).

ღამე ისე ჩვეულებრივად მოვიდა ჩვენს სოფელში, თითქოს იმ დღეს ჩვენს ოჯახში არაყინ არ მომკვდარიყოს (**5. დუშბ.**).

თუ გინდ მომაკვდავი მყოლებოდეს და გამოგებრუნებოხს, ისე ჩავთვლი, თუ იმდენად შემეწევი, რომ იმ ყმაწვილს, ქაიხოსრის შვილს, ჩემს ელბიტეს არ დააშორებ (**დ. კლდ.**).

შენი ჭირამე, შენი, ჩემო სოლომონს.. თუ გინდ გეჩუქნოს, ისე ჩავთვლი (**დ. კლდ.**).

შედარებით ნაკლებად გვხვდება წინადადებები, სადაც ერთ-
დროულად არა გვაქვს კორელატი ისე და ნაწილაკი (ძირითადად
თითქოს ნაწილაკი).

მაგალითად:

ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, თვალში ცრემლი არ მოჰრე-
ვოდეს, გული არ ამოხვდომოდეს და არ არ ატირებულ იყოს
(ილია).

ეს უჯიშო, ეს ყველა ფრინველში გამორჩეული, როგორ ფაშფაშებს, თით-
ქოს ღმერთს ეს განაჩენი ყორნის სასარგებლოდ დაეღვინოს და მაგის
სასარგებლოდ მოეხდინოს განკარგულება (ვაჟა).

უბრალოდ, ბაიდური და ეს ორი კარგი ახალგაზრდა არც ბავშვობაში ყოფი-
ლან ისე, რომ უერთმანეთოდ ვერ გაეძლოთ („ციხკარი“).

დიდხანს თავისთვის იყო, თითქოს ჩემი კიბხვა არ გაეგონოს
(ნ. ლორთქ.).

III კავშირებითის ფორმები სხვა სახის დამოკიდებულ წინადა-
დებებში ცოტაა. მიზეზის გარემოებით დამოკიდებულს, პირობითსა
და დათმობითი სახის დამოკიდებულ წინადადებებში გვაქვს დადა-
სტურებული III კავშირებითის ხმარების რამდენიმე შემთხვევა.

მაგალითად:

მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში:

მე მათში არ ვრეულვარ!.. არა მითომ, რომ ციხის შემშინებოდეს!
(აკაკი).

ხოლო ის, რომ ნებაყოფლობით ჩაბარდა ტყვედ და ჰიტლერის სამსახურში
ჩაღდა, ეს თითქოს იმიტომ მომხდარი იყოს, რომ თვით ელასოვიც და მეორე
დამკვრელი არმიაც გამოუეალ მდგომარეობაში ჩაგარდნილიყვნენ
(„ლიტ. ხაქ.“).

ხარი ჯერ ციბრუტივით დატრიალდა, მერე, თითქოს რაღაც განსაცვიფრებელი
დაენახოს, გაჩერდა და თვალი გაუშტერდა („ლიტ. ხაქ.“).

გუყვირე მთელი ხმით, თითქოს ის ყოფილიყო რაიმეში დამნაშავე
(„დროშა“).

პირობითი სახის დამოკიდებული წინადადებები მთავარს რომ
და თუ კავშირებით უკავშირდებიან.

მაგალითად:

მამ, სიკვდილს რომ გადაარჩენილიყოს, რას უზამ? (ა. ყაზბ.).

ესა რისხვით შეითხას და დედამიწამ არ მიმიღოს, თუ ცოდვა რამე ჩვენს
გულში ჩასახულიყოს (ილია).

ადრე და მალე იიგავოს მტერსავეთ ეს თბოლი თავი, თუ აღამიანის ღალატი
ოდესმე გულში გამტარებოდეს (ილია).

თუ დიბარებული მყოლოდეს ან მდომოდეს შენი მოტყუება,

თუ ნამუსზე ხელს ავიღებდი, განა აეყვირებდი ამდენს ხალხში, რომ შენც გაგვგონა და უკან გამოგვედევნებოდი? (ნ. ლორთქ.).

VI. მესამე კავშირებითის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი რთულ წინადადებაში მკაცრად განსაზღვრული არაა, მაგრამ მეტწილად იგი მთავარს მოსდევს. ერთი ჯგუფი მთავარი წინადადების შუაშიცაა მოქცეული. ასეთ წინადადებათა უმეტესობა ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებია და ძალიან ჰგავს აგრეთვე განკერძოებულ გამოთქმებს. დამოკიდებული წინადადება იწყება **თითქოს** ნაწილაკით (იშვიათად მას ცვლის **ვითომც**) და ყველა მათგანში ჩანს ავტორის აზრი, შეხედულება, დამოკიდებულება აღნიშნული ფაქტისა თუ ამბის მიმართ.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

დაწინაურებულები ამ ნისლში შედიოდნენ და, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაეხურათ, უკვალოდ იკარგებოდნენ (რ. ჯაფ.).

მეფე, ახლა თითქოს გამთრკვეულიყოს ძილისაგან, შეჩერდა შუა ადგილას და შეაჩერდა დას (ნ. ლორთქ.).

როგორც ვინათლა, მამალმა, თითქოს ქანდაკარაზე მჭდარიყოს, ჩამოფრენა დააპირა, მაგრამ მეგობარმა გააფრთხილა (ვუა).

ღონემიხილი ამხანაგის უღვთო გვემით ან მოკვლით შეძრული „ცხენები“, ვითომც არ დაენახათ, რა მოხდა, სიმღერას თუ ხმაშეწყობილ გმინვას განაგრძობდნენ (რ. ჯაფ.).

გაიგონე, როგორ დაიკუნესა ფაშფაშა ქალმა, ალბათ ევას დეიღამ, დუქნის წინ და კაცები, თითქოს და ამ ბაყბაყ-დეეს იმათი მოშველები პირველობეს, ჩვენსკენ წამოვიდნენ (რ. ჯაფ.).

შვილმა ხელი გამოსტაცა, ცოტაზე გაირბინა, შემობრუნდა და, თითქოს მართლაც ავტომატი სჭეროდეს, დაუყვირა (რ. ინან.).

„მეთევზეც“ მიუახლოვდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, მეგობარი შეათვალღერა („ცისკარი“).

თითქოს ნაწილაკიანი განკერძოებული გამოთქმები ხშირად გვხვდება თანამედროვე ქართულში. ასეთი გამოთქმები დამოკიდებული წინადადებებისაგან ხშირად მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მათში ზმნის ნაცვლად მიმღეობა გვაქვს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ზმანება გაქრებოდა და გიორგი დიდხანს, თითქოს მთელი დღის შრომით მოქანცული, გაოგნებული ქშინავდა (გ. შატბ.).

მიდიოდნენ ერთად, თითქოს რალაც უხილავი ძაფით გადაბმულები (გ. გუგუშ.).

თითქოს შეცხრე ცაზე ასული, კმაყოფილებით გადაყურებდა ქვეყნიერებას (ს. დემურხ.).

ღარიბთა ნაწივიმარ ქუჩაში რჩება ის ორი თეთრა ტაბურეტი, გოგონა... და ბიჭი — თვალბანთებული, თითქოს რაღაც დიდი რამით დაჯილდოებული (რ. ინან.).

მერე უკვე გაშუქებულ კიბზეც ჩამოიფანტნენ — თითქოს მოულოდნელად დაპატარავებულნი სიცოცხლის შეხვედრის მოლოდინში (რ. ინან.).

საკმარისია შევცვალოთ მიმღობები: მოქანცული, გადაბმული-ბი, ასული, დაჯილდოებული, დაპატარავებული... III კავშირებითის შესაბამისი ფორმით (მოქანცულიყოს, გადაბმულიყოს, ასულიყოს, დაჯილდოებულიყოს, დაპატარავებულიყოს...), წინადადება მაშინვე რთულ დაქვემდებარებულად გადაკეთდება — ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით.

ასეთი სახის განკერძოებული გამოთქმები ზემოთ განხილული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებისაგან განვივითარებულადაც შეიძლება ვივარაუდოთ. ესაა III კავშირებითის თავიდან აცილების კიდევ ერთი გზა თანამედროვე ქართულში.

VII. დამოკიდებული წინადადების თითქოს ნაწილაკით დაკავშირება მთავართან ყველაზე დამახასიათებელია III კავშირებითის ფორმის შემცველი წინადადებისათვის. იგი არა მარტო აკავშირებს დამოკიდებულს მთავართან, ერთგვარად მყარს ხდის კიდევ თვით ფორმას.

ნაწილაკი თითქოს განსაკუთრებით კარგად ეგუება I და III კავშირებითებს, უფრო კი ამ უკანასკნელს. თითქოს + III კავშირებითი ყველაზე გავრცელებული და ბუნებრივი მოდელია. ეს ფაქტი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ამ ნაწილაკის შედგენილობას¹⁰.

თითქოს ნაწილაკის პარალელურად, თუმცა იშვიათად, იხმარება ვითომ(ც). მაშინც ხშირ შემთხვევებში მის ნაცვლად უფრო გამართლებულია თითქოს ნაწილაკი.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ელნიზარს რაღა დამართვია, რას დაპყრებს იმ შავ ბაფთასა, რად იქცევა ისე; ვითომც ერთი ვინმე ახირებული ყმაწვილი სწევოდეს და, თავიდან როგორ მოიცილოს, ვეღარ გაუგიაო (ო. ჩხეიძე).

მეორე გაზეთი ირწმუნებოდა, ვითომ კ. კქეს „ხალბი პასპორტით“ შეეყოს თავი მეფის სასახლეში, ვითომ კვანის აზნაურობაც კი საეჭვო ყო-

¹⁰ თითქოს წარმოშობილია გამოთქმისაგან: თუ ითქვას, თუ ითქვა, იხ. ა. შაინიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 614.

ფილიყო¹¹, ხოლო თავადობა კვავს და „ერთ წმინდა მოხუც“ მეფისათვის წაეკრული თიხბაზობით დაეცინცლოსო (მ. ჯავ.).

ვითომც ატესტატი მე აშედოს, ისე ვარო („თბილისი“).

საინ თუ ოთხი საათი უვლიდნენ უთფილ ნადვარევეს, რომელსაც ვითომც და წაეღვეკოს თამლავის ვზო და გაეფუჭებინოს თვით ის აივანი, რომელზეც ერთხელ სლომოინ დიდს დაედვა მოწყალე ფეხები (ნ. ლორთქ.).

თითქოს ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ზოგჯერ გინდ (გინდაც), მგონია, გეგონებათ (გეგონებოდათ)...

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ცხენის დაღუპვას ჩივის: როგორ ვერ გადავარჩინეთ, თვარა თვითონ, გინდ წყალიც არ ვადასხმოდეს თავზე (აკაკი).

დიდი სამამულო ომის მონაწილე არჩილ მამისაშვილი ისეთი შთაგონებით მოგვითხრობს მოწინავე პოზიციებზე, ბრძოლის ამბებს, გეგონებათ, თქვენ თვითონ უთფილიყვეთ მისი მონაწილე („წიგნის სამყარო“).

ქურიდან რომ ამოდგრა ილიყო, ისე ღრმად ჩაისუნთქა ღამის ნოტიო ჰაერი, გეგონებოდათ. ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის წევრი უთფილიყოს (ნ. ლუმბ.).

გინდაც ჯადოსნური კვრათხის მფლობელი შექნილიყოს — რასაც შეეგებოდა, ოქროდ აქცევდა მყისვე (რ. თვარაძე).

ოტიას დაბადება ისე მახსოვს, მგონია გუშინ უთფილიყოს („სოფლის ცხოვრება“).

ნაწილაკიანი III კავშირებითის მეორე მოდელი იქნება თუნდ(აც) კავშირი — III კავშირებითი. ამავე მნიშვნელობით იხმარება ზოგჯერ გინდ(აც). ამ სახის წინადადებებში III კავშირებითის ფორმით გამოხატული ზმნა გამორიცხავს მთავარ წინადადებაში აღნიშნული შინაარსის გარდა სხვა რაიმე შესაძლებლობის არსებობას¹². მათ პირობითად კატეგორიული გამორიცხვის წინადადებებს ვუწოდებთ.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ჯერაც ერთსართულიან ქუთაისს უკვე ჰქონდა ის განუწყობებელი, შეუღარბელი კოლორიტი, ცნობების თავისებური რატში და ინტიში, რომლებიც თავს არასოდეს დაგვიწყებენ, თუნდაც ერთხელ მეტად არ გვენახოთ იჭაურობა (რ. თვარაძე).

თუ ვინმე ცნობილ ადამიანს დავუსაბუღებლა, თუნდაც ცნობილი პირი კარგი მეზღქმე უთფილიყოს, მიბრძანებდა, დაბეჭდეთ, და მეც რა გზი მქონდა, — ვგზავნიდი სტამბაში (ნ. ლორთქ.).

¹¹ აქ უნდა იყოს უთფილიყოს, — III კავშირებითი და არა II თურმეობითი. ამ რიგის შემთხვევები მრავლად მოიპოვება მ. ჯავახიშვილის პროზაში.

¹² აღნიშნული რთული დაქვემდებარებული წინადადებები დამოშობითი სახის დამოკიდებული წინადადებების შემცველებია.

მიგრამ ეს, რაღა თქმა უნდა, ზღაპარია; და საეკეოა, თ უ ნ დ ა ც იმდროინდელ მკოთხედულს დაეჭვებინოს (ვ. პელ).

სხვა წყალობა ვერ უნდა მიეღო ტყვეებით მოვაკრე ვაი-ქართველს, თ უ ნ დ ა ც ის თვით მეფის ჩამომავალი ყოფილიყო (რ. ჭაფ.).

განა სამართლიანად არ იტყვა კაცი, როცა მის გზაზე გაწოლილ გველს ბართ უჩეჩქვავს თავს? გინდაც იმ გველს ჭერ არავინ დაეგესლოს, გინდაც მხოლოდ მზეზე გასათბობად გამოხრებულ იყო, მაინც ყველამ უნდა ესროლოს ქვა (ო. კილ).

გინდაც აივნოდან გადმოვარდნილიყო სწავამი კაცი, აქაც და იქაც შედეგი მსგავსი იქნება (რ. თვარაძე).

რაც კი რომ გასაკეთებელი შემხედებოდა, თუკი მოეხერხებოდა, გინდ დიდი ყოფილიყო და გინდ პატარა, ჩაკვიდებოდა ხოლმე ხელს (აკაკი).

III კავშირებითან ისმარება აგრეთვე ვინძლო, ეგებ, იქნებ ნაწილაკები.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

თუ პარიზის ტრაქტატი არა, ბატონყმობა, ეგებ დღესაც არ ყოფილიყო გადავარდნილი რუსეთში (აკაკი).

მინდოდა მხოლოდ სიტყვა ჩამომეგდო ლადო სულაბერიძის შუბლნათელ პოეზიაზე, ვინძლო აქეთაც შეშოვეხვიოთ ქართული ლექსის ოქროს მადიებელი (რ. ჭაფ.).

VIII. ცნობილია, რომ, რაკი ნაწილაკები მოკლებული არიან დამოუკიდებელ მნიშვნელობას, არ ქმნიან სინტაგმებს, არ მოეპოვებათ სინტაქსური ძალა¹³. ეს დებულება მთლად ვერ გავრცელდება ზმნური წარმომავლობის ნაწილაკებზე (თითქოს, ვინძლო, დაე, ვითომ, იქნებ, კინაღამ...), მათ მიერ ზმნებთან შეხამების თავისებური უნარის შესახებ აღნიშნული აქვს შ. აფრიდონიძეს¹⁴.

III კავშირებითან გამოყენების არის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ნაწილაკსა და კავშირს¹⁵ სუსტად გამოხატული სინტაქსური ძალა ნამდვილად აქვს, რაც განპირობებულია მათი წარმომავლობით. თითქოს, ვინძლო, იქნებ, ვითომ... მართალია, დღვისათვის უფრომოდ სიტყვებია, მაგრამ პირუანდელი მნიშვნელობისაგან

13 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 612.

14 შ. აფრიდონიძე, შემასწავლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3, 1970, გვ. 23-27.

15 კავშირთა ერთი ნაწილიც ზმნის ფორმათა არჩევისას გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს. ამის შესახებ იხ. ლ. გეგუჩიძე, ლასახ. ნაშრომი, გვ. 151, 184; მისივე კავშირები პირობით წინადადებაში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2, 1971, გვ. 64-68.

არ არიან დაცლილნი და ამიტომ ზმნისაგან თავიანთი მნიშვნელობის შესაბამის ნაკეთის ფორმას მოითხოვენ, უფრო ზუსტად, ისინი არ არიან ნებისმიერნი კილოური ფორმების არჩევის მიმართ.

ნაწილაკების ერთი ნაწილი იხმარება მხოლოდ კავშირებითი კილოს ფორმებთან. ჩვენთვის საინტერესო ნაწილაკთაგან ასეთია **თითქოს, ვინძლო, ვითომ** ნაწილაკები. და, რადგანაც მესამე კავშირებითისათვის ძალიან დამახასიათებელია **თითქოს** ნაწილაკის ხმარება, იგი ერთგვარ ორიენტირადაც გამოდგება. ყოველთვის, როცა **თითქოს** ნაწილაკია სახმარი მეორე თურმეობითთან ან თხრობითი კილოს სხვა ნაკვთთან, ჩვენ ვეძებთ შენაცვლებულ კავშირებითს.

შ. აფრიდონიძეს აღნიშნული აქვს, რომ ნაწილაკების ერთი ნაწილი, პირიქით, კავშირებითი კილოს ფორმებს იცდენს¹⁶. თანამედროვე ქართულში III კავშირებითისათვის ერთი ასეთი ნაწილაკია **უნდა**. თუ **თითქოს — II თურმეობითი** არასწორი კომბინაციაა, **თითქოს უნდა — II თურმეობითი** სავსებით შესაძლებელი და გამართლებული. **უნდა — III კავშირებითი** თანამედროვე ქართული-სათვის ზოგიერთი მწერლის სტილური თავისებურება თუა (მაგ. ნ. ლორთქიფანიძე) და დამახასიათებელია აგრეთვე რაჭული დიალექტისათვის. ყველა შემთხვევაში, როდესაც ჩვენს მიერ შესწავლილ რაჭულ მასალაში **უნდა** ნაწილაკთან დაკავშირებული მესამე კავშირებითის ფორმები შეგვხვდა, სალიტერატურო ქართულში შესაბამისი შინაარსი **უნდა — II თურმეობითით** გადმოიცემა.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

გრძელო კაბები ვაცოდით, კუდიანი. თათო ტკაველი უკან კუდი უნდა წასულ იყოს და თუ გამოჩენილიყოს ქუსლ-კოჭი, გვიძრაზემდენ („დიალ.“). ქთამიეც რომ დაეკლასე, ნახევარი ბატონებითენ უნდა მიეცეს ყე („დიალ.“).

რაჭულში დადასტურებული ეს კონსტრუქცია მიზნითს გარემოებითსა და პირობითს წინადადებებში გამოვლენილ III კავშირებითთან ერთად უძველესი ქართულიდან შემორჩენილ ვითარებად არის მიჩნეული¹⁷.

უნდა — III კავშირებითები ერთი შეხედვით სხვა მესამე კავშირებითებისაგან განსხვავებულ სურათს გვაძლევენ. მხოლოდ და მხოლოდ **უნდა** ნაწილაკიანი მესამე კავშირებითები არ მოითხოვენ აუცილებლად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას.

16 შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

17 შ. დიდიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

უნდა — III კავშირებითი შეიძლება გვეკონდეს მარტივ წინადადებაშიც და რთული დაქვემდებარებული წინადადების მთავარ წინადადებაშიც, რაც სხვა მესამე კავშირებითისათვის დაუშვებელია. დარღვეულია აგრეთვე დროული თანამიმდევრობა. რთულ წინადადებაში **უნდა** — III კავშირებითით გადმოცემული მოქმედება შემდგომია იმავე წინადადების სხვა ზმნის დროსთან შედარებით.

მაგრამ თუ **უნდა** — III კავშირებითიან წინადადებებს განვიხილავთ როგორც რაიმე აზრის გამოთქმის, მსჯელობის, ფიქრის შედეგს, რისი ვარაუდის საშუალებასაც გვაძლევს ამგვარი წინადადებების სემანტიკა, მაშინ აღნიშნული წინააღმდეგობები ისპობა.

მაგალითად, ამგვარ წინადადებებში:

ბერი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი (ილია).

რადაც უზომო მწუხარებას თავისი ტანჯვის გამოსახატავად უნდა აეშენებინოს იგი (ნ. ლორთ).

პეტრუკასა და თოქას ღელა უნდა ყოფილიყოს მინდელი (რაჭ).

ეტყობოდი სვანები ძვლები უნდა ყოფილიყოს (რაჭ).

ყველგან შეინიშნება, რომ **უნდა** + III კავშირებითიანი წინადადებები მოუბრის სუბიექტური შეხედულების ასახვა. იგულისხმება: **ფიქრობ**, სიკეთე უნდა დაეთესოს, ტაძარი უნდა აეშენებინოს... ხოლო ბოლო წინადადებაში ასეთი სიტყვა გვაქვს კიდევ (ეტყობოდა).

ამგვარი ვარაუდის გათვალისწინების შემდეგაც რაჭული მასალების ერთი ნაწილი მაინც რჩება III კავშირებითისათვის დამახასიათებელი ყალიბების გარეთ.

მხედველობაში გვაქვს ამგვარი წინადადებები:

ვერც თავს დავიბანდით, ვერც თავს დავივარცხნდით სახში, ვერც გავიარევიდით რამეს, უნდა წავსულიყოთ წისქვილში, იქ ცეცხლი უნდა დაგვენთონ, თავიც იქ უნდა დაგვებანონ და დაგვევარცხნონ, იქ უნდა გვეძირონ (ილია“).

ინა: „ეს სამთელი მთლიანათ არ უნდა დამწვარიყოს, უნდა შეგვენახოს და მერე წაალკურთხევას კიდევ დავამთებლით (რაჭ).

ფხროკნიას არ უნდა მიეშვას წრეში რივა, ფხროკნით უნდა გავედოს გარეთ საჩქართ (რაჭ).

ამ წინადადებებში იმდენად აშკარაა II თურმეობითის შინაარსი, რომ შესაძლებელია ვივარაუდოთ, — რაჭულმა არა მხოლოდ შემოინახა III კავშირებითების უძველესი ფორმები, არამედ მთელ

რიგ შემთხვევებში II თურმეობითის ნაცვლად III კავშირებითის ფორმები გაიჩინა.

ანდა, თუ ამგვარ წინადადებებში მართებულია III კავშირებითი და არა II თურმეობითი და რაჭულში დადასტურებული უნდა ნაწილაკიანი III კავშირებითის ეს ჯგუფიც ნამდვილად ასახავს ძველ ვითარებას, საერთო პარადიგმიდან ამ კონსტრუქციის ცალკე დგომა შეიძლება უნდა ნაწილაკის სემანტიკით იყოს გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ამგვარი წინადადებებისათვის დამახასიათებელია კატეგორიული მსჯელობა.

გამორიცხული არც ისაა, რომ თავდაპირველად III კავშირებითისათვის დამახასიათებელი ყოფილიყოს მარტივი წინადადების კონსტრუქციაც, ხოლო ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მას გვიან ჩამოეყალიბებინოს.

IX. მესამე კავშირებითის ნაკვთის ზმნა, ცალკე აღებული, არ იძლევა საგნის მოქმედებისა თუ მდგომარეობის სრულ სურათს. იგი მიემართება, ექვემდებარება კიდევ სხვა მოქმედებას¹⁸ (ამიტომია მისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია) და, რადგანაც **აუცილებელია**, რომ ზმნის III კავშირებითის ფორმა **მიემართებოდეს** საგნის სხვა მოქმედებას ან მდგომარეობას, მთავარი წინადადებიდან მისთვის მთავარია ზმნა. ამიტომ მთავარი წინადადება, ჩვეულებრივ, ძალიან მოკლეა, — 2-3 წევრით, ზოგჯერ მხოლოდ ზმნითაა წარმოდგენილი; იმდენად აშკარაა და იმდენად მჭიდრო ეს მიმართება, რომ ხშირად იშლება მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზღვარი, რის შედეგადაც ვიღებთ ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებს, ხოლო მარტო ზმნით წარმოდგენილი მთავარი წინადადებები, რომლებიც ერთი და იმავე შინაარსის მიმართების გამოსახატავად ხშირად იხმარებიან, შეიძლება საერთოდაც დაიკარგონ (ასეთებია ზემოთ განჩილულ ნატვრით წინადადებებში გაუჩინარებული სურვილის გამომხატველი ზმნები).

რადგანაც დაქვემდებარების აუცილებლობა თვით კავშირებითი კილოს შინაარსით უნდა იყოს გამოწვეული, ბუნებრივია, მთავარი წინადადების ზმნა მოერიდება კავშირებითი კილოს ფორმას. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართებები გაგრძელდებოდა. მართლაც, მთავარი წინადადების ზმნის ნაკვთები ძირითადად თხრობითი კილოს ფორმებია.

¹⁸ ეს, როგორც ჩანს, კილოური შინაარსით არის გამოწვეული, ასეთივე მოვლენა მეტნაკლებად შეიმჩნევა I და II კავშირებითებთანაც.

მხოლოდ ორიოდ პირობითი სახის წინადადებაში შეგვხვდა მთავარი წინადადების ზმნად კავშირებითი კილოს ფორმა. ისიც იმ შემთხვევებში, როდესაც მთავარი წინადადება თავის მხრივ ნატურითი შინაარსისაა; იგულისხმება, რომ იგი წარმოშობით დამოკიდებულია და, ამდენად, თანამიმდევრული დაქვემდებარების მიხედვითაა შეკრული კონსტრუქცია.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ცამ რისხვით მკითხოს და დედამიწამ არ მიმიღოს, თუ ცოდვარამე ჩვენს გულში ჩასახულიყოს (ილია).

მაგრამ ბიჭი დიდ უარზე იდგა და იძახოდა: „ღვთისა და ბატონის რისხვა მჭონდეს, თუ უცაბედად არ მომსკლოდესო“ (აკაკი).

აღრუ და მალე აიგავოს მტერისავეთ ეს ობოლი თავი, თუ აღამიანის ღალატი გულში გამტარებოდეს (ილია).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ამ წინადადებებშიც.

გ უ ს უ რ გ ო თ, ბედნიერად გადაეღაბოს ცხრა მთა და ცხრა მდინარე („ახ. კომ.“).

ღმერთმა ჰქნას, რომ სურვილი შეგსრულებოდეს (აკაკი).

მთავარ წინადადებაში II კავშირებითი შეგვხვდა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა იგი ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის მეორე შემადგენელი წევრია, მაგრამ პირველი წევრი თხრობითი კილოს ფორმაა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ზმნას ყოველთვის აქვს ნაწილაკად ქცევის ტენდენცია, ხოლო მეორე ზმნა — კავშირებითი კილოს ფორმაა, კონსტრუქცია ჩაკეტილია პირველი ზმნის მიერ და ნთლიანად ასეთი ინფინიტიური კონსტრუქცია თხრობითი კილოს შინაარსისაა.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ამით ის კი არ გვიჩნდა ვთქვათ, თითქოს რომის უღელი სასიამოვნო ყოფილიყოს ხალხისათვის (ვ. კელ).

მე არა მსურს ვთქვა, თითქოს საკითხის ეს მხარე ჯ. ლენჩილის გატუშებული დარჩენოდეს (ალიტ. საქ.“).

საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამის შემდეგ საქართველოს სრული, მთავრი მორწილება გამოეჩინოს რომის მიმართ (ვ. კელ).

ი გ ე ბ ვინმემ იფიქროს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი და საქმეშიც აჩქარებული მამაჩემი მიატე ჰკუთისა ყოფილიყოს (აკაკი).

უკანასკნელ წინადადებებში უკვე აღარა გვაქვს ინფინიტიური კონსტრუქცია (უნდა წარმოვიდგინოთ, ეგებ იფიქროს), მაგრამ, როგორც ჩანს, ნაწილაკსაც აქვს კონსტრუქციის ჩაკეტვის უნარი — და

არა მხოლოდ ზმნური წარმოშობის ნაწილაკებს, არამედ უარყოფის ნაწილაკებსაც.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

არ ი ფ ი ქ რ თ, რომ შე იმის მტრობა მჭირვებოდეს და შურისძიება მღო-
მებოდეს (აკაკი).

არამც და არამც არ ი ფ ი ქ რ თ, აფიშის შემდგენელ ტექნიკურ მუშაკს
თავისი უცოდინარობის გამო მოსვლოდეს ასეთი უხერხულობა („ლიტ. საქ.“).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, III კავშირებითის ნაკვით წარ-
მოდგენილი ზმნისათვის დამახასიათებელია განზოგადება, განყენე-
ბა, ამიტომ მთავარი წინადადების ზმნა ხშირად დროის გაგებისაგან
დაცლილია და მიუთითებს მოქმედების მრავალგზისობაზე, ჩვეუ-
ლებრივ, ხშირად შესასრულებელ ფაქტზე. ეს, უწინარეს ყოვლი-
სა, ეხება იმ დაქვემდებარებულ წინადადებებს, რომელთა მთავარი
წინადადებების ზმნა აწმყოს ან I თურმეობითის ნაკვითა, რამდენა-
დაც ასეთი განყენებული, განზოგადებული მოქმედების გადმოცემა
სწორედ ამ ნაკვთებს შეუძლია.

ზოგადი აწმყოს გაგება აქვს ზმნებს შემდეგ წინადადებებში:

ჩვენ არ გვახსოვს გადაღებული პარტიების დამთავრება, რომელსაც
სიურპრიზები არ მოეტანოს („კომ.“).

მე არ მახსოვს, რომ თბილისში მუხეშში ან თეატრი აშენებულიყოს
მაღალ დონეზე („ლიტ. საქ.“).

იგულისხმება, რომ არა მხოლოდ ახლა არ მახსოვს, აწმყოში,
არამედ საერთოდ არ მახსოვს, ვფიქრობ, არ მომხდარა.

ასევე:

ყოველ გაზაფხულზე აკეთებენ ამას ისეთი გულმოდგინებით, თითქოს
პირველად აღიღებუდიყოს სუფსა (ნ. დუმბ.).

არ არის მუსიკის ენარი — რომანსიდან სიმფონიამდე, რომ მათში კომ-
პოზიტორს თავისი წვლილი არ შეეტანოს („კომ.“).

ჰო, ხუმრობა გაშვებით, ამ სახლში კუთხე არ არის, ჩემი ნაქურთხი სიტყვა
არ მოხვედროდეს (გ. შატბ.).

ის მოსაზრებაც ყალბია, თითქოს ქართველებს ვაჭრობა და აღებ-მიცე-
მობა ჭირის ღღესავით სძულებოდეთ და თითქოს ქართველი კაცის რაინდულ
სულს ასეთი ვაჭრობა არ უთავსდებოდეს (ვ. ჰელ.).

ანთიმოზი არაა ისეთი კაცი, რომელიც, მიუხედავად ღრმა მოხუცებულო-
ბისა, შეილის დაკარგვის მძიმე გრძნობას გაეტყუოს („საბჭ. ხელ.“).

აწმყოს ფორმები გვაქვს ხოლმე ნაწილაკითაც, რაც კიდევ უფ-
რო უსვამს ხაზს ზოგადობას, მრავალგზისობას.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ისე წუხს ხოლმე — დღევანდელი თუ გუშინდელი დღე გამოცდა, ვერ ვიძუშავებო, თითქოს ერთი კარგი მიწის მხვნელი ყოფილიყოს (რ. თვარაძე).

დასწუყელოს ღმერთმა ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი, რა მალე შეგვოტყობენ ხოლმე სოფელ კაცს, თითქოს შუბლზედ გვეწეროს (ილია).

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი, ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვადასხვა უფროსისაგან (აკაკი).

ე. წ. ზოგადი აწმყოს გარდა ხშირად გვაქვს ჩვეულებრივი, ახლანდელი დროის ფუნქციით წარმოდგენილი აწმყოს ნაკეთის ზმნამთავარ წინადადებაში.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ჩატომღაც მხიარულად გამოიყურება, თითქოსდა დღეობიდან დიბრუნებულიყოს (რ. ჭაფ.).

ელახბარს რაღა დამართენია, რას დაჰყურებს იმ შავ ბავთასა, რად იქცევა ისე, ვითომც ერთი ვინმე აზირებული ყმაწვილი სწევოდეს და, თივიდან როგორ მოიცილოს; ველარ გაუგიათ (ო. ჩხეიძე).

ანგარიში შეიცავს დაუსაბუთებელ დისკენის, თითქოს სანტიგოში მატჩის მოწყობა შესაძლებელი ყოფილიყოს („კომ.“).

ეგ უჯიშო, ეგ ყველა ფრინველებში გამოჩნეული, როგორ ფარფაშებს, თითქოს ღმერთს ეს განაჩენი ყორნის სასარგებლოდ დაედგინოს და შავის სასარგებლოდ მოეხდინოს განკარგულება (ვაჟა).

აწმყოს ნაკეთია გამოყენებული ხშირად ნატვრითს წინადადებაებში, ინფინიტიურ კონსტრუქციებში პირველ წევრად და ინფინიტიური კონსტრუქციების ტიპის წინადადებაებში:

გისურვებთ, თქვენი გულის ნადები სავსებით გამოგეტყვასთ (ნ. ლორთქ.).

ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყონ და შვილები დღევანდელ დღეებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ (აკაკი).

ღიდი სამაშულო ომის მონაწილე არჩილ მაშისაშვილი ისეთი შთაგონებით მოგვეთხრობს მოწინავე პოზიციებზე ბრძოლის ამბებს, გვეგონებათ თქვენ თეითონ ყოფილიყვებთ მისი მონაწილე („წიგნის სამყარო“).

ვისაც თეატრი უყვარს, არა მგონია ეს წარმოდგენა არ ენახოს და სპექტაკლში მონაწილე მსახიობებსაც უძველად იცნობს („კომ.“).

შეიძლება საღდაც გულის სიღრმეში კი ჩაეჩქმალოს საკუთარი სიკეთე და სიწმინდე, მაგრამ იმდენი სხვისი ტალახი, სიბინძურე გადაჰფარებოდა, რომ იგი იწვედა ზემოთ კიდევ მეტს საბანს სულმდაბლობისაგან შეგერილს (ნ. ლორთქ.).

განსაკუთრებით შესამჩნევია ზოგადობის გაგება III კავშირებითის შემცველ ისეთ წინადადებაებში, საღდაც მთავარი წინადადებაის

ზმნა I თურმეობითის ფორმაა. ამგვარ წინადადებებში იშვიათადაა შენარჩუნებული I თურმეობითის ძირითადი სემანტიკური ნიშნები: წარსული დრო და დაუსწრებლობა.

დამოკიდებული წინადადების მესამე კავშირებითის ფორმასთან დაკავშირებული მთავარი წინადადების I თურმეობითის ფორმა გამოხატავს წარსულში არაერთხელ მომხდარ მოქმედებას, იგი შეიძლება საუბრის მომენტშიც გრძელდებოდეს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

მეფე გავიღოფებს და ღმერთი გლოცავს, რადგან არ მოსულა თქვენ წინაშე არც ჭკრივი, არც ყუთოვანი, რომელიც არ გავკითხოს თქვენ

(6. ლორთქ.).

ბევრჯერ უნახიათ ლამარისჯვარის მიდამოებში ჯაჭვ-ჩაჩქნაანი ბათერი გადამდგარიყოს სერზე, წელ-დამშვენებული თავის სახელოვანის ხმლითა, ეძახოდეს, ხელს უქნეოდეს სალაშქროდ ბიჭებს (ვაჟა).

მე ვერ არ მინახავს კაცო, რომელიც ჯარში წისულიყოს და არ მობრუნებულყოს (6. დუმბ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედების მრავალგზისობის გაგება დაკავშირებულია დამოკიდებული წინადადების ზმნასთან (მესამე კავშირებითის ფორმასთან). წინადადებაში გადმოცემული ფაქტი მსჯელობის, ანალიზის შედეგია. მრავალგზის განმეორებული ერთნაირი მოქმედებიდან გაკეთებულია კატეგორიული დასკვნა, შეფასება. ამასთან, ფაქტი — არაერთხელ მომხდარი და განზოგადებისათვის წარმოდგენილი — დამოკიდებულ წინადადებაშია მოცემული, ხოლო განზოგადება — მთავარ წინადადებაში. დასკვნას კატეგორიულ სახეს აძლევს ზმნის ნეგატიური ფორმა — ზმნა ძირითადად უარყოფითი ნაწილაკითაა წარმოდგენილი. ამგვარ წინადადებებს ჩვენ ზემოთ კატეგორიული გამორიცხვის წინადადებები ვუწოდეთ. ჩვენს ხელთ არსებულ იმ მასალაში, სადაც დამოკიდებული წინადადების ზმნა III კავშირებითის ფორმაა, ხოლო მთავარი წინადადების ზმნა — I თურმეობითისა, ძირითადი უმრავლესობა სწორედ ამგვარი კატეგორიული გამორიცხვის წინადადებებია. როგორც ჩანს, მთავარ წინადადებაში I თურმეობითი (უარყოფითი ნაწილაკით ან ნაკლულევანების აღმნიშვნელი სიტყვით) — დამოკიდებულში III კავშირებითი — ასეთი შინაარსის გადმოცემის უმთავრესი საშუალებაა.

მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

მე დიდი ხანია წამოსული ვარ საქართველოდან, და არ ყოფილა არც ერთი დღე, მასზე არ მეფიქროს (მ. გელოვანი).

მთელი თვის განმავლობაში არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომ საგუშაგოსთან დაგვეცავებინოს პატიოსანი მშრომელი ადამიანი („კომ.“).

უნდა მოგახსენოთ, მისთანა იჭინება არ ყოფილა, რომ ხალხს რამე ძალადობა ეხმაროს, მხოლოდ უკმაყოფილებას აცხადებენ პირდაპირ, დაუფარავად (აკაკი).

პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა — ანგარიში არ ევოდეს (ილია).

იშვიათად მომხდარა, რომ ადამიანის სულის დიდი გამოვლინება აღრე ან გვიან არ ყოფილიყო ჯეროვნად დაფასებული („სოფლის ცხოვრება“).

I თურმეობითი გვაქვს აგრეთვე ისეთ კატეგორიული გამოორიციების წინადადებებში, რომლებშიც დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული ფაქტი არ არის მრავალგზის გამეორებული, მაგრამ მთავარ წინადადებაში კატეგორიულადაა უარყოფილი მისი მოხდენის შესაძლებლობა წარსულში.

მაგალითად:

მე ჯერ არ მსმენია ისეთი ტორერო, რომელიც ხარს გამოეწვიოს საჩუქრად (ნ. დუმბ.).

არასოდეს არ მსმენია, რომ ჩვენი პარლამენტის რომელიმე წამყვან ლიდერს მისასალმებელი დებუმა გაეგზავნოს ალიენდესათვის, რომელიც გადაჭრით უჭერდა მხარს პარლამენტური ბრძოლის მეთოდს („კომ.“).

არც იქ, არც იქ ჯერ არ შემხვედრია, ვისიც ტაბილ სიტყვას ჩემ ცეგ მკერდში გაეკაფოს გზა (ნ. ლორთქ.).

ამ ხნის კაცი ვარ და არ გამიგონია, მოლოდინს და იმედს კაცი გაეძღოს (გ. შატბ.).

მე მათში არ ვრეულვარ!.. არა მითომ, რომ ციხის შემშინებოდე ს (აკაკი).

მესამე კავშირებითის შემცველი დამოკიდებული წინადადების ადგილი რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში ყველაზე უფრო მოძრაობია იმ შემთხვევებში, როცა მთავარი წინადადების ზმნა ნამყო ძირითადის ფორმაა. მთავარი წინადადება უმთავრესად პირველ ადგილზეა, ზოგჯერ კი მოსდევს კიდევ დამოკიდებულს. იმ შემთხვევებში, როდესაც მესამე კავშირებითის შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შუაშია მოქცეული, მთავარ წინადადებაში ხშირად გვაქვს სწორედ ნამყო ძირითადის ნაკვთი.

მაგალითად:

მთავარი წინადადება უსწრებს დამოკიდებულს:

რა უცნაურად დაღამდა, თითქოს მზე და სინათლე არასოდეს არ ყოფილაყოს (რ. ჯაფ.).

მთავარი წინადადება მოსდევს დამოკიდებულს:

თითქოს უზარმაზარი ტვირთი დამეგდოს, ისე გავიმართე მხრებში და თავი-სუფლად ამოვიხუნთვე („ციცქარი“).

დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შუაშია:

დაეკითხა ქალი, თითქოს მისთვის სულ ერთი ყოფილიყოს, დარბებოდა დათი-კო მის სოფელში, ყოველდღე შეხვდებოდა თუ არა (ნ. ლორთქ.).

მთავარ წინადადებაში ხშირად გვხვდება აგრეთვე ნამყო უს-რულის ფორმები. მისი ხმარება ნამყო ძირითადის ნაკეთის ხმარები-საგან არსებითად არ განსხვავდება. მესამე კავშირებითის შემცველი დამოკიდებული წინადადება აქაც შედარებით უფრო მოძრავია.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

ისე ამბობდა, თითქოს ფარნაოზი იწოს გულისთვის ჩამოსულიყოს (ო. ჭილ-). თითქოს სამეცნიერო კონფერენციაზე ყოფილიყოს, აზრის ჩამოსაყალიბებლად ზუსტ ფორმულირებებს ეძებდა და ალაგ-ალაგ ერთ ადგილზე იბეკნებოდა (რ. ჯაფ.).

მერე, თითქოს აუცილებელი ყოფილიყოს გზის ზაკეტვა, ისევ ლინდაგებზე ჯგუფდებოდნენ („ციცქარი“).

აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო ძირითადი და I თურმეობითია ძირითადი ნაკეთები, რომლებითაც წარმოდგენილია მთავარი წინა-დადების ზმნა მესამე კავშირებითის შემცველ რთულ დაქვემდება-რებულ წინადადებაში. შედარებით ნაკლებად იხმარება მყოფადი, მყოფადის ხოლმეობითი და II თურმეობითი. აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები და III კავშირებითი არც ერთხელ არ შეგვხვედრია.

X. მესამე კავშირებითზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თანა-მედროვე ქართულში კავშირებითი კილოს შინაარსი ძირითადად გადმოიცემა ზმნის კავშირებითი კილოს შესაბამისი ნაკეთისა და ნა-წილაკის საშუალებით. ნაწილაკი აირჩევა იმის მიხედვით, თუ რა სახის დამოკიდებულება გვინდა გამოვხატოთ ზმნით აღნიშნული ფაქტის მიმართ: **შესაძლებელია ხდებოდეს, უნდა მოხდეს, თითქოს მომხდარიყოს და ა. შ.**

კავშირებითი კილოს ამ სხვადასხვა ნიუანსის გამოხატვის აქცენ-ტი იმდენად გადადის ამ ნაწილაკებზე, რომ თანდათან შესაძლებე-ლი ხდება იმავე შინაარსის გადმოცემა თხრობითი კილოს ფორმებ-თან მათი დაკავშირებით. ასე მაგალითად, დღეისათვის **თითქოს ვა-კეთებ** არანაკლებ გავრცელებული ფორმაა მოსალოდნელ **თითქოს ვაკეთებდე**-სთან შედარებით. შინაარსი ორივეს კავშირებითი კი-

ლოსი აქვთ. ეს გამოწვეულია კილოს, როგორც გრამატიკული კატეგორიის მოშლის ტენდენციით თანამედროვე ქართულში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ წინადადებაში თხრობითი კილოს ფორმები ნაწილაკების გარეშეც გამოხატავენ კავშირებითი კილოს შინაარსს¹⁹. ამ მხრივ ყველაზე „დაზარალებული“ ნაკვთია III კავშირებითი.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ III კავშირებითს ენაცვლებიან დრო-კილოთა I წყებიდან აწმყო, ნამყო უსრული; II წყებიდან ნამყო ძირითადი და II კავშირებითი; III წყებიდან — I და II თურმეობითები.

მის გასარკვევად, თუ რომელი ნაკვთის ფორმაა უფრო გამართლებული, საჭირო ხდება III კავშირებითის წარმოების, მისი შინაარსობრივი ნიუანსების და ძირითადი სინტაქსური მოდულების გათვალისწინება. ამიტომ შევაჯამოთ ზემოთქმული III კავშირებითის შესახებ.

ა). III კავშირებითი გვხვდება მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში, ან ისეთ წინადადებაში, რომელიც წარმოშობით დამოკიდებულია.

ბ). III კავშირებითი გამოხატავს შესაძლო, სავარაუდო მოქმედებას ან მის უარყოფას წარსულში და სასურველს — მომავალში.

გ). დროის მიხედვით დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნული მოქმედება, გამოხატული III კავშირებითით, უსწრებს მთავარი წინადადების ზმნით აღნიშნულ მოქმედებას.

დ). III კავშირებითით გადმოიცემა აგრეთვე ისეთი მოქმედება, რომელიც გამორიცხავს რაიმე ფაქტის მოხდენის შესაძლებლობას წარსულში. ასეთ წინადადებებს პირობითად შეიძლება კატეგორიული გამორიცხვის წინადადებები ეწოდოს.

ე). III კავშირებითი გამოიყენება ნატვრითი შინაარსის გადმოსაცემად წინადადებაში (ძირითადად დალოცვის ფორმულებში).

ვ). III კავშირებითისათვის დამახასიათებელია ასოციაციური დაკავშირება მთავარი წინადადების შინაარსისა ან მისი რომელიმე წევრისა სხვადასხვა ფაქტთან, მოვლენასთან (ვითარების გა-

¹⁹ ესენია რომ და რათა კავშირიანი მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული დაქვემდებარებული წინადადებები, რომლებშიც II თურმეობითი იხმარება III კავშირებითის ნაცვლად.

რემოებითი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებში).

ზ). ჩვეულებრივ, მესამე კავშირებითის საშუალებით წართქმითი შინაარსი გადმოიცემა უარყოფითი ნაწილაკით, უკუთქმითი — უამისოდ.

თ). მთავარ წინადადებას III კავშირებითი ძირითადად უკავშირდება ასეთი მოდულებით:

1. თითქოს (ვითომ, იქნებ, ნეტავ...) ნაწილაკი — III კავშირებითი;
2. გინდ, თუნდ ნაწილაკები — III კავშირებითი;
3. რომ, თუ კავშირები — III კავშირებითი.

ი). III კავშირებითისათვის დამახასიათებელია კავშირებისა და ნაწილაკების არჩევის არანებისმიერობა.

XI. ყოველთვის, როდესაც აწმყოს ფორმით გამოხატულ ზმნასთან გვაქვს ნაწილაკი თითქოს²⁰, კავშირებითი კილოს ფორმაა მოსალოდნელი, უმეტესად აწმყოსავე კავშირებითი, ზოგჯერ კი III კავშირებითიც.

მაგალითად, I კავშირებითი იყო მოსალოდნელი აწმყოს ნაცვლიად:

არ იფიქრო, თითქოს ბედის ანბარა გტოვებ („ცისკარი“).

ეჩვენება თითქოს შორიდან უწედიან ხელს საშველად მუხლში გაუმართავი ფესმოძალებული ბავშვივით („სოფლის ცხოვრება“).

თითქოს მივდივარ არა საომრად, საქორწილოდ მიგვყავდეს და ან მამა (ნ. ლორთქ.).

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში თითქოს — აწმყო უფრო გავრცელებულია და ზოგჯერ მისი კავშირებითი კილოს ფორმით შეცვლა არაბუნებრივად ჩანს, — განსაკუთრებით ისეთ წინადადებებში, სადაც აწმყო განუსაზღვრელობითი დროის ფუნქციითაა ნახმარი.

მაგალითად:

მას მერე მთვარე თითქოს სიკეთეს ემსახურება, ნამდვილად კი დარჩა ძველი პატრონის მონად (ნ. ლორთქ.).

თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ თითქოს არსებობს რაღაც კანონზომიერება (გ. გეგეშ.).

²⁰ თითქოს ნაწილაკის მსგავსად იხმარებიან ვითომ (მითომ), გეგონებოდა, გგონია... მაგრამ ძალიან იშვიათად. ამიტომ ჩვენ მხოლოდ თითქოს ნაწილაკს ვასახელებთ.

მოწყაეს ებიზოღები, რომლებიც თითქოს აღასტურებენ მოლაღ-ტეთა შეუზოვრობას („ღიღ. სჟ.“).

მესამე კავშირებითის ნაცვლად აწმყო ძალიან იშვიათად იხმარება.

მ ა გ ა ლ ი თ ა ლ დ:

კიდე სიტყვა მოახერხა ეშმაკურად და უთხრა მოსესა ისე, ვითამ იქ არაფერი ამბავია (იღია).

ამ ტრიულში და ვაი-ვაგლანში რომ არის, ერთი იხტუნა, მითამ საფლავიღამ ამხტომა უნდა და ტახტიდან ძირს ავურებზედ კი ბრავგანი მოაღო (იღია).

გამოცდილო სურტ-კენინა მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მოიკატუნა, მითამ და არაფერი იცის (იღია).

როდესაც ნამყო უსრულის მიერ III კავშირებითის ფორმათა შენაცვლებაზე ვლამარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა ნორმატული სახის დარღვევა, არამედ უბრალო შენაცვლება, პარალელური წარმოების არსებობის შესაძლებლობა.

წინადადებაში: „შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე არც იმის მტკიცება შემიძლია, რომ გალაკტიონს წაკითხული ჰქონდა ჩვენი რომელიმე ნაწარმოები“ — ლიტ. სჟ., — რომ კავშირის ნაცვლად უფრო ბუნებრივი თითქოს ნაწილაკი რომ გვექონოდა, III კავშირებითს მეტი ძალა ექნებოდა და მოსალოდნელი იქნებოდა ჰქონოდეს ფორმა.

III კავშირებითი უფრო გამართლებულად გვეჩვენება ნამყო უსრულის ნაცვლად აგრეთვე შემდეგ წინადადებებში:

მწირედ წარმოსთქვა სვიმონმა და ცხენს მათრახი გაუქნია, თითქოს ჯაგრის ამოყრა იმათზედ უნდოდა (ა. ყაზბ.).

გაჰკიოდა კარებში ჩამდგარი მანდილოსანი და ისე გვიბღვერდა, თითქოს და ვალი რამ გვექონდა მისი („ახ. კომ.“).

თავს ისე იჭერდა, ვითომ მამლის იქ ყოფნა სრულიდაც არ იცოდა (ვაჟა).

როგორ შეიძლება იმის თქმა, თითქოს არ უყვარდა შვილები მით უმეტეს, შვილები გიჯდებოდნენ მამაზე (გ. გიგეშ.).

ისე გულდასმით აკვირდებოდნენ ყოველივეს რაც თვალის არეში ხვდებოდათ, თითქოს ამაზე საგანგებო დავალება ჰქონდათ და ქალაქის საერთო მდგომარეობის შესახებ საქალაქო საბჭოში მოხსენებითი ბარათი უნდა წარედგინათ („ციცქარი“).

ჩაფიქრდა სურტ-კენინა, მითამ-ღა არ იცოდა, რაზედ დაიწყო (იღია).

21 რამდენადაც ყველა წინადადება ერთი ავტორისაა, შეიძლება ეს მწერლის სტილით იყოს გამოწვეული.

აწმყოს ნაკვთის მსგავსად ნამყო ძირითადი თითქოს თავისუფალი უნდა ყოფილიყო კავშირებითი კილოს გამოხატვისაგან, მაგრამ **თითქოს, ვითომ...** ნაწილაკების საშუალებით იგი ხშირად კავშირებითი კილოს გამომხატველია. წინადადების აგების განსხვავებული სინტაქსური წესის გამო ყოველთვის ადვილად ვერ ხერხდება III კავშირებითის აღდგენა ნამყო ძირითადის ადგილას. ნაკვთის შეცვლასთან ერთად ხშირად საჭიროა სუბიექტის ბრუნვის შეცვლა, ბრუნვაუცვლელი ობიექტის ზმნის პირთან დაუკავშირებელ ობიექტად ქცევა... ყველა იმ სინტაქსური თავისებურების გათვალისწინება, რაც დრო-კილოთა III წყებისთვის არის დამახასიათებელი.

ფუნქციებისა და შინაარსის მიხედვით I და III კავშირებითები ერთ პარადიგმაში შეიძლება მოექცეოდნენ, II კავშირებითი კი რამდენადმე განსხვავებული ნაკვთია. ისეთი დაპირისპირება კილოს მიხედვით, რითაც აწმყო და აწმყოს კავშირებითი, I-II თურმეობითები და III კავშირებითი უპირისპირდებიან ერთმანეთს, არა გვაქვს ნამყო ძირითადსა და II კავშირებითს შორის. II კავშირებითში მომავალი დროისა და კატეგორიულობის გაგება უფრო ჭარბობს და კილოური გაგება შედარებით მიჩქმალულია. ამიტომ კავშირებითი კილოს გამოსახატავად დრო-კილოთა II წყება უმთავრესად იყენებს აღწერით ფორმას: **ნამყო ძირითადი + ნაწილაკი.**

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

კილო კავშირებითია, ნაკვთი თხრობითი:

იმანაც თითქოს კბილები ვააკრატუნა, დაუწყო კირცება (ვაჟა). გიორგიმ რომ მარტო ნახა თავისი თავი კესოსთან, თითქოს შიშმა აიტანა (ილია).

წინადადებების ერთ ნაწილში ასეთი აღწერითი წარმოების არასაკმარისობა უფრო აშკარაა და იგრძნობა საჭიროება — რამდენადმე შეიცვალოს წინადადების სტრუქტურა და III კავშირებითით გადმოიცეს საჭირო შინაარსი.

როდესაც ერთპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნა გვაქვს ან სუბიექტი და ბრუნვაუცვლელი ობიექტი დამოკიდებულში არაა წარმოდგენილი პირის სახით, III კავშირებითის აღდგენა ადვილად ხერხდება, იცვლება მხოლოდ ზმნის ფორმა.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

მაგრამ კვართი თითქოს მკვლარი დედაკაცის სხეულს შეენივთა — ვერას ღიღებით ვერ გამოგლიჯეს (ვ. ჰელ).

სანდროს ჩრდილი ძალიან დაგრძელდა მთელ ფერდობზე, თითქოს ის უზარმაზარი სივრცის კაცი იყო (გ. გეგეშ.).

მართლა, მართლა რამ დაძაბუნა? — სთქვა სუტ-ქენინამ, მითამ და მართლა დაავიწყდა (ილია).

თანამგზავრებიც შეჩერდნენ, თითქოს პირველად დაინახეს, დაბნეულებმა დახედეს თოვლს („ცისკარი“).

უცებ თითქოს მხრებზე დააწვა მისი სიმძიმე, გაოცებით წამოიწია (გ. შატბ.).

ტუფილია, ვითომ მეფესთან მე დავაბეზდე (ნ. ლორთქ.).

ჩველი ნაჩაღი ჩავიდა ქალაქს და ცდილობს, ელგუჯასაგან გაგის მოკვლა მე დამაბრალოს, მითომც მე მოვისყიდე (ა. უაზბ.).

მისი ბრძანება ერთმანეთს გადასცეს და ისე გაუარეს გვერდით, რომ ზედაც არ შეხედეს, თითქო ღობლიანი ქრისტიანის ნაცვლად იმ ალაგზე ნახვი ეგდო (მ. ჭავ.).

უნდა ყოფილიყო: შენივთებოდეს, ყოფილიყოს, დავიწყებოდეს, დაენახოთ, დასწოლოდეს, დამებეზღებინოს, მომესყიდოს, გდებუ-ლიყოს.

ასეთ წინადადებებში ზმნის ნაკვთის შეცვლა არავითარ გავლენას არ ახდენს წინადადების სხვა წევრებზე. შედარებით რთულადაა საქმე, როცა ზმნა გარდამავალია და ახლავს მასთან პირის მიხედვით დაკავშირებული სახელები. ასეთ შემთხვევაში ზმნის ფორმასთან ერთად საჭირო ხდება მისგან მართული სახელების ბრუნვის შეცვლაც.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

ამ ფაქტსაც ვ. ლენჩილია თავისებურად ხსნის და ცდილობს საქმე ისე დაგვიხატოს, თითქოს რეჟისორის არჩევანი იმდროინდელი თეატრალური ქუთაისის ჩამორჩენილობაში განაპირობა („ლიტ. საქ.“).

უნდა გექონოდა: ჩამორჩენილობას განეპირობებინოს.

ისეთი შეგრძნება გრჩებათ, რომ მთვირით გაწეტიებული ცვრიანი მინდვრის ხილით აღტაცებულმა ქარმა ამოიოხრა („ლიტ. საქ.“).

უნდა გექონოდა: თითქოს... აღტაცებულ ქარს ამოეოხროს.

თენგოს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, გაწბილებული იდგა და ტუჩებს იყვინტდა (გ. შატბ.).

ნაკვთის შეცვლისას გვექნება: თენგოსთვის გადაესხათ ანდა თენგო მთავარ წინადადებაში გადაისმება: თითქოს ცივი წყალი გადაესხათ, თენგო გაწბილებული იდგა.

ყველას რაღაც სევდა მოაწვა გულზე, თითქოს ამ ჩიტს გაატანეს სალაში უსაზღვრო ქვეყნისადმი (ნ. ლორთ.).

6. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

უნდა გვეკონოდა: ამ ჩიტისთვის გაეტანებინათ.

ნატვრითს წინადადებებში III კავშირებითს ხშირად ცვლის II კავშირებითი და, რადგან კილო არ იცვლება, შენაცვლება შედარებით უფრო გამართლებულია, თუმცა უფრო მოხერხებული ხშირად III კავშირებითის ფორმაა.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

კეთილი იყოს მათთვის ეს ახალი წელიც („ახ. კომ.“).

ვუსურვოთ ქართული სიტყვის გამოჩენილ ოსტატს, ჩვესს მუღამ კარგ და საყვარელ საბას დიდხანს და დიდხანს შეინარჩუნოს ეს სულიერი სიმზნევე („კომ.“).

ეს წელიც განსაკუთრებით წარმატებების მომტანი იყოს თქვენთვის და მრავალსაც ასე ჯანსაღად დასწრებოდეთ („ახ. კომ.“).

ჩენს საყვარელ უმცროს მეგობრებს — ახალგაზრდებს ვუსურვებდი მალე ეჭირათ რევოლუციურ-ინტერნაციონალურა დროში, ახსოვდეთ, რომ ივანე მარტისიზმ-ლენინიზმის დროშია („ახ. კომ.“).

III კავშირებითის ფორმის II კავშირებითის ფორმით შენაცვლება დაკავშირებულია მათ საერთო უნართან, — აღნიშნონ მომავალი დრო. განსაკუთრებით ხშირად ენაცვლებიან იყოს — ყოფილიყოს ფორმები:

ჰწიოდა საწყალი კნეინა და იცნდა ძალზედ თავში, თითქო იმისი ბრალი იყოს ლუარსაბის გავიყება (ილია).

ცა ისე მოქმენდილი იყო, ისე მინახებული და გაფაქიზებული, ისე უღიმოდა ქვეყანას, თითქოს აქ, ვარდა ია-ვარდისა, გარდა სიყვარულისა და სათნოებისა არა იყოს-რა (ნ. ლორთქ.).

არც ერთი ნამუშევარი ისე არ შემოქმენია, რომ ჩანაფიქრი ვინმეს არ გავუხიარო, — უპირველესად მეგობრებს (ახ. კომ.“).

ამაყად დაიძახა ნაცვალმა, თითქოს მართლა ხელმწიფის სამსახური უსამართლობაში იყოს (ა. ყაზბ.).

I და II თურმეობითებს სინტაქსური დამოკიდებულებების ერთგვარობის გამო მეტი ძალა აქვთ III კავშირებითის შენაცვლებისა. სწორედ ამიტომია, რომ ერთი შეხედვით თითქოს ბუნებრივად გვეჩვენება შენაცვლებული ფორმები, მაგრამ, თუ ნაკეთის შინაარსს გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ აქ, სადაც I და II თურმეობითებს ახლავს დაეჭვების ნაწილაკები თითქოს, ვითომ და მისთანები და შესაბამისად მოქმედება არაა გადმოცემული რეალური ფაქტის სახით, III კავშირებითი უნდა გვეკონდეს.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

ისე დაჭერებული ვარ, რომ მითამ შეილი კალთაში მჭდომია (ილია).

როცა ჩემი ძმოს, ადამიანს პირს არილებ, მითამ ქრისტელმერთისათვის მოგირილებია პირი (ილია).

თითქოს ამ შეიღი თვის განმავლობაში არც ყოფილა ფაბრიკიდან წასული მუშა ლეილა ვიზლიანი, თითქოს არც მოშორებია თავის სამუშაო ადგილს („კომ.“).

ჰეთხა ილარიონმა ილიკოს და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამაზე უფრო მის საცოცხლეში არაფერი გაჰკვირვებია (ნ. დუმბ.).

თითქოს ვილაკას დაუგალებია, კეთილი, ეწხიანი სიტყვა სთესე ამ დედამიწაზე (გ. შატბ.).

თითქოს საგანგებოდ განუზრახავთ, რომ ორი ათასამდე წლის შემდეგ შორეულ შთამომავლებს ცოცხალი წარმოდგენა შექმნოდათ იმდროინდელი ხელოვნების მაღალ დონეზე, წარჩინებულთა საარაკო სიმდიდრეზე (ვ. გელ.).

ყველა აღნიშნულ წინადადებაში I თურმეობითის ნაცვლად III კავშირებითი უნდა გვექონდეს: მჯდომოდეს, მოგერიდებინოს, წახულიყოს, მოშორებოდეს, გაჰკვირვებოდეს, დაევალებინოს, განეზრახნოთ.

II თურმეობითი III კავშირებითს იშვიათად ენაცვლება ნატვრით წინადადებებში. ყველა დანარჩენ შემთხვევაში შენაცვლება ხშირია.

თითქოს, ვითომ ნაწილაკებთან II თურმეობითის ხმარება წინადადებების ერთ ნაწილში თითქოს ბუნებრივად გამოიყურება. აქ II თურმეობითის არასწორად ნახმარ ფორმას ამაგრებს მთავარი წინადადების ზმნა მოეჩვენა, ეგონა და მისთანები. ის, რაც მოეჩვენა ან ეგონა, რეალური ფაქტიც შეიძლება ყოფილიყო და ამიტომ მასთან II თურმეობითი შესაძლებელია, მაგრამ მაშინ თითქოს ნაწილაკი აღარ უნდა გვექნოდეს და, თუ გვაქვს, დამოკიდებული წინადადების ზმნა მაინც ნაწილაკს უფრო უნდა უწევდეს ანგარიშს, რადგანაც მასთან უშუალოდ დაკავშირებული სწორედ ნაწილაკია და მისი მნიშვნელობა დომინირებს.

მაგალითად:

და სწორედ მაშინ მოეჩვენა, თითქოს სხულში ზრიალით ჩაემსხვრა შუშა („ციხკარი“).

მე ისე მეჩვენება, ვითომც სახის მეტყველება შესცვლოდა (ილია).

მე მომეჩვენა, თითქო ბუჩქებიდან პატარა თავი ყაშას ფანჯრამდე ამძვრალიყო, შიგ შეეხედნა და ისევ ბუჩქებში ჩამოვარდნილიყო (მ. ჯავ.).

სხვა შემთხვევებში თითქოს ნაწილაკთან II თურმეობითის ნაცვლად III კავშირებითის აუცილებლობა უფრო აშკარაა.

მ ა გ ა ლ ი თ ა ლ :

პირველსავე დაკვრასე თვითონაც ისე აიგრიხა, თითქოს თხუთმეტეცეჯონი იმ თათრების მაგიერად წითელ ყაშას მოხვედროდა (მ. ჯავ.).

ისე გვთხოვა ლექტორმა, თითქოს ჩვენზე, ამ ასოიდე კაცზე ყოფილიყო ომის ბედი დამოკიდებული (ნ. დუმბ.).

გავზავნილი ისე პირდაპირ, მოურიდებლად ნიდიოდა, თითქოს იმ ადგილებში არავითარი არეულობა არ მომხდარიყო და სრული მშვიდობიანობა სუფევდა (ა. ყაზბ.).

ხეობაში თითქოს წყალი დაწყვეტილიყო, ჩამიხუმი არ ისმოდა (რ. ინან.).

და უნებლიეთ, თითქოს რაღაც იდუშალი ძალა წინამძღოლოდა, გადავსალე ეკლესიასტე და წავეციტხე (ნ. ლორთქ.).

ფრონტზე ყოფნას სრულიად შეეცვალა გიგას საქციელი, თითქოს ჰაბუკური გვიმჯობის და უხასიათობის სახადი იმ ცერა თითისთვის გაეყოლებინა, რომელიც მისთვის სამაჟლო ომში მტრის ტყეიას წაეწყვიტა (გ. შატბ.).

ამის შეგრძნებისაგან ჰიჭიკო უსიამოდ გრძნობდა თავს, თითქოს ვიღაცას დაემორჩილებინა (ა. გეგეშ.).

იმ დღეს ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს ნამდვილი ფაშისტი გამეხტურებინა საიქიოში („ლიტ. საქ.“).

ისე უღებ გაუშვა თოფს ხელი, თითქოს შემთხვევით გველს წისტუნებოდა (ო. ქილ.).

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ შენაცვლებულ ზმნებს უმეტესწილად უარყოფითი ნაწილაკი ერთვის. უარყოფითი ნაწილაკის უმისოდ III კავშირებითის ფორმა უფრო მყარი ჩანს.

II თურმეობითით III კავშირებითის შენაცვლების ამგვარი შემთხვევები სალიტერატურო ნორმის დარღვევაა, მაგრამ მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში III კავშირებითის ნაცვლად II თურმეობითის ხმარება უკვე სალიტერატურო ენის ნორმადაა ქცეული.

მ ა გ ა ლ ი თ ა ლ :

ქალი შინაგანად ემზადებოდა იმისათვის, რომ მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა აქ, საელჩოში, საგულისხმო ყოფილიყო (რ. ჯავ.).

ხშირია რომ, თუ, თუნდ კავშირებით დაწყებულ დამოკიდებულ წინადადებებსა და ე. წ. კატეგორიული გამორიცხვის წინადადებებში III კავშირებითის II თურმეობითით შენაცვლება.

მ ა გ ა ლ ი თ ა ლ :

იშვიათად გავიღოდა დღე, რომ მის არ ეთქვა, ან არ მიეწერა დედოფლისათვის (მ. ჯავ.).

იქნება არ დამაჯეროთ, მაგრამ ჯოჯობეთს მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირადამეს ჩემი მღვდელი სიზმარში არ მომხვეწებოდა (ილია).

იშვიათად გამოერეოდა წელიწადი, რომ სტიქიის მანეთ ძალებს თავისი სისასტიკე მშვილობიანი მშრომელი გლეხობის ნაწევანადაგზე არ გამოეცადა (ვ. პელ.).

თუნდ მოენდომა კოდალას ჩანადირება, ვერაფერს გახდებოდა (ვაჟა). ეს კი ვიცი, რომ იმის სიტყვებმა ძლიერ ჩამაფიქრეს და მას შემდეგ, თუნდა ჩემი სულთამხუთავი ყოფილიყო, თამამად თავას გავუსწორებდი (ილია).

როგორც ცნობილია, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმათა დამთხვევა ხდება. იმის განსაზღვრა, თუ რომელი ნაკვთის ფორმაა, კონტექსტისა და იმ მოდელების მიხედვით ხდება, რაც III კავშირებითის განხილვისას ვნახეთ.

III კავშირებითებია:

ხეები და ისლით დახურული მეგრული ფაცხები უძრავად იდგა, თითქოს ექინა სოფელს, თითქოს ვველანი გადაკარგული ყენენ ამ შუადღისას საღდაც (გ. ვაგეშ.).

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ ქალაქების ბატონ-პატრონები ყოფილიყვნენ ბერძნები (ვ. პელ.).

მას შემდეგ 30 წელი გავიდა, ვუსურვებ ამ ბრძოლების ყველა მონაწილეს 60 წლის შემდეგაც ყოფილიყვნენ მხენ და ჯანმრთელნი („კომ.“).

ნეტავი წეროები მაინც დაბრუნებულ იყვნენ სამხრეთისაკენ (ვაჟა).

იშვიათად (ძირითადად XIX საუკუნის მწერლებთან) მრავლობითი რიცხვის მესამე პირში გარჩეულია III კავშირებითი II თურმეობითისაგან: „ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უჯულო ყოფილიყონ და შეილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ“ — აკაკი.

ზოგიერთ წინადადებაში ფორმათა დამთხვევის გამო ძნელია გარჩევა იმისა, ავტორი აქ III კავშირებითს გულისხმობს თუ II თურმეობითს. ესენია რომ და რათა კავშირიანი ის წინადადებები, რომლებიც თანამედროვე ქართულში უფრო ხშირად მიმართავენ II თურმეობითს, ვიდრე III კავშირებითს.

მაგალითად:

გალაქტიონი კი არა, საკუთარი საღამოების მოწყობაში დიდად დახელოვნებული და გაწაფული კალმოსნებიც სამუდამოდ მოიჭრიდნენ თავს, მსგავსი დეკადის ჩატარება რომ ამოეკრათ გულში (რ. თვარაძე).

გამოვიდოდა ყოველ დღით, მეგზოვის შემოსვლამდე გადაყრია ჩერებს და ჯაგრის ნარჩენებს, რათა მეზობლები ხელახლა არ წააკიდებულ იყვნენ (რ. ჯაფ.).

რა კარგი იქნებოდა, სიცოცხლეშივე ეთქვათ უდროოდ დაღუპულ პოეტისათვის, რაოდენ უყვარდა იგი მშობელ ხალხს (რ. ჯაფ.).

ნაკეთის დადგენაში ზოგჯერ იმავე წინადადებაში ანალოგიური ფუნქციით ნახმარი მეორე ზმნა გვეხმარება:

არც ერთხელ არ დასტურდება, რომ მკვეთრ აფრიკატა (წ, ჭ) შემადგენელი სპირანტი კომპონენტები (ს, შ) გართულებულიყვნენ მკვეთრ ხშულ აფრიკატებად (წ, ჭ) ან პირიქით, მკვეთრ აფრიკატა (წ, ჭ) სპირანტიზაცია მომხდარიყოს (ხ. ვლენტი).

ცხადია, I ზმნაც III კავშირებითის ნაკეთის ფორმაა.

ერთგვაროვანი შემასმენლების მიხედვით აღვიღაღ ჩანს სხვა ნაკეთით შენაცვლებული III კავშირებითის შინაარსი.

მ ა გ ა ლ ი თ ა ლ :

[ივსურვე] კიდევ ბევრი საქორწილო პური გამოეცხოთ, ბევრი ხალხი გაეყვლიდათ („ახ. კომ.“).

ზოგჯერ გრიშკა ათიოდე სიტყვის დაწერაზე ნახევარ საათს იწურებოდა და ბოლოს ისეთ გაუგებარს დასვლავნიდა, თითქოს იმ ქალაღზე ფეხმელნიან ქათმებს დაეცლოთ და თავიანთი ნაიკანევი ჩაეწერნათ (მ. ჯავ.).

XII. თანამედროვე ქართულში ძალიან გავრცელებულია III კავშირებითის შინაარსის გადმოცემა თხრობითი კილოს ზმნასთან ერთდროულად სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკისა და თითქოს ნაწილაკის საშუალებით. ამასთან თანამიმდევრობა ასეთია: თითქოს ნაწილაკი — ზმნა — -ო ნაწილაკი²².

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია -ო ნაწილაკის ხმარების ორი შემთხვევა: „გადმოგვცემს მესამე პირის ნათქვამს. იგი სხვათა სიტყვის სახელითაა ცნობილი“²³; -ო ნაწილაკი გამოიყენება აგრეთვე როგორც ე. წ. პროსოდიული ხმოვანი — ლექსში სიტყვის ბოლოს მარცვალთა რაოდენობის შესავსებად („შორს მოუფარეთ, მივედით, შემოვადეგით გარეო“ — ვეფხ.)²⁴.

ლ. კვაჭაძეს აღნიშნული აქვს აგრეთვე, რომ „სხვათა სიტყვის -ო ხშირად იხმარება ისეთ წინადადებაში, სადაც თითქოს (თითქო) სიტყვაა“²⁵.

თითქოს — -ო ძალიან გავრცელებული კონსტრუქციაა. იგი ძირითადად ენაცვლება III კავშირებითს, ზოგჯერ კი I კავშირებითსა და ნამყო უსრულს (როცა მას კავშირებითი კილოს ფუნქცია აქვს).

22 სიმარტივისათვის შემდეგში ამგვარ კონსტრუქციას აღვნიშნავთ ასე: თითქოს — -ო.

23 ა. შინიძე, დსახ. ნაშრ., გვ. 610.

24 იქვე, გვ. 612.

25 ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1958, გვ. 282.

თითქოს — -ო სახის შენაცვლება ხდება ყველა სახის დაქვემდებარებულ წინადადებაში, სადაც III კავშირებითი დადასტურებელი.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

ბაკატუთ დაბრძანდებოდა, თ ი თ ქ ო ს ქ ო მ ე ბ ი ა ც ე ი ა ო (ვაჟა).

მარტო ეგენი სწყდებიან და ქართლი კი ისე გაჩუმებულა, თ ი თ ქ ო ს დ ა ს -
ქ ი ნ ე ბ ი ა ო (ა. ყაზბ.).

ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თ ი თ ქ ო ა დამიანის გულგუთლობას პირველად შეხვდა ო და უკვირს ო (ილია).

თ ი თ ქ ო ს ტუეილში დაიჭირეს ო, ისეთი ხმით იკითხა დარემ
(გ. შატბ.).

ათიოდ წამის შემდეგ ისეთი ყრუ ხმა მოისმა, თ ი თ ქ ო კენჭი უძირო
ორმოში ჩავარდა ო (მ. ჭავ.).

როდესაც იგი (გაბრიელა მისტრალი) ნიუ-იორკში გარდაიცვალა, ჩილელ
ხალხს დიდი მწუხარება დაატყდა თავს, თ ი თ ქ ო ს კორდილიერებს უზარმაზარი
კლდე მოსწყდა და 7000 მეტრი სიმაღლიდან პირდაპირ ჩილელ ხალხს
დაეცა გულზე ო („თბილისი“).

ხარი კი ადგილიდან არ იძვროდა, თ ი თ ქ ო ს გ ა ქ ვ ა ე დ ა ო („ლიტ. საქ.“).
ფშვეულმა მოხედა, თ ი თ ქ ო ს რალაც უჩვეულო დაინახა ო, თვალები
ჭერ მოჭუტა, მერე ჩქარ-ჩქარა დახამხამა (რ. ინან.).

ჭაღები თ ი თ ქ ო ს მხოლოდ სუფრის დასამშვენებლად არიან ო, ოდნავ
ახლებდნენ ხელს საქმელს (ნ. ლორთქ.).

თითქოს ნაწილაკის გარდა ამ ტიპის წინადადებებში გვხვდება
მნიშვნელობით მისი ტოლფარდი ვითომ და გეგონებოდათ.

თითქოს — -ო კონსტრუქციის წინადადებები შენაცვლების
თვალსაზრისით ერთნაირი ძალისანი არ არიან. წინადადების ერთ ნა-
წილში ზმნის შეცვლა კავშირებითი კილოს ფორმით არასასურველ
შედეგს გვიძლევს, რადგანაც იკარგება გარკვეული შინაარსობრივი
ნიუანსი. განსაკუთრებით უჭირს ასეთი შენაცვლება უზმნისწინო
პრეფიქსიან ვნებითებსა და საშუალი გვარის ზმნებს. ისინი ყველა-
ნი უსრული ასპექტისანი არიან და თითქოს მოქმედების დასრულე-
ბულობის საჩვენებლადაც ჩანს გამოყენებული -ო ნაწილაკი. სხვათა
სიტყვის ნაწილაკების ხმარება თავისთავად გულისხმობს, რომ საუბ-
რის მომენტს წინ უსწრებს მოქმედება ანდა გადაწყვეტილება მოქ-
მედების დაწყების შესახებ. ამიტომ დროული თანამიმდევრობის მი-
ხედვით დამოკიდებული წინადადების ზმნის დრო უწინარესია მთა-
ვარისაზე. ასევე, III კავშირებითი გამოხატავს „დასრულებული
მოქმედების არსებობის შესაძლებლობას ან სურვილს“²⁶. მისი შემ-

²⁶ ნ. ნათაძე, III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, ივე,
VII, თბილისი, 1955, გვ. 97.

ცველი დამოკიდებული წინადადებისათვისაც დამახასიათებელია დროის უწინარესობა მთავართან შედარებით. ამევე დროს, **თითქოს** — **III კავშირებითის** შემცველ წინადადებაში ყოველთვის იგულისხმება რაღაც განყენებული პირის, არა მხოლოდ ავტორის, თვალსაზრისი, რომლის მიხედვით არის მომხდარი ფაქტის შეფასება, შედარება, განსაზღვრა, განზოგადება და გვაქვს მოდელები: **ისე** — **თითქოს**, **ისეთი** — **თითქოს**.

სხვათა სიტყვის -**ო** ნაწილაკისა და **III კავშირებითის** ამგვარი სემანტიკური სიახლოვის გამო გასაგები ხდება მათი ერთმანეთის მონაცვლელ ხმარება.

ამიტომ იმ ზმნებისათვის, რომელთაც საერთოდ არა აქვთ დრო-კილოთა **III წყების** ნაკვთები, ანდა აქვთ, მაგრამ წარმოებისას კარგავენ საჭირო შინაარსობრივ ნიუანსს რომელიმე კატეგორიის ნიშნის დაკარგვის გამო, გამოიყენება **თითქოს** — -**ო** კონსტრუქცია. იგი იმავე შინაარსს გადმოსცემს, რასაც **III კავშირებითი**. თავდაპირველად ალბათ სწორედ ასეთი ზმნები იყენებდნენ **III კავშირებითის** შინაარსის გადმოსაცემად **თითქოს** — -**ო** კონსტრუქციას, ხოლო შემდეგ, **III კავშირებითის** გამოყენების შესუსტებასთან დაკავშირებით, ამჯერად უკვე უმართებულოდ, გავრცელდა სხვა სახის ზმნებზეც.

მაგალითად, **III კავშირებითის** შინაარსითაა შემდეგ წინადადებებში ნახმარი **თითქოს** — -**ო** კონსტრუქცია, რომელსაც ვერ შეეცვლით:

მიუვო კესომ და თავი ჩაპლუნა, თითქოს ეს დუნე პასუხი თვითონვე ეთაკილაო (ილია).

მატარებელი თითქოს ჩემს ასელას ელოდებოდაო, ერთი გაიქან-გამოიქანა, მერე სინანულით შეიცხადა ბაქანზე დარჩენილები და ნელა, ნელა დაიძრა (ნ. დუმბ.).

ერთ-ერთი განსხვავებული ნიუანსი, რომელსაც ზმნები **III კავშირებითში** ვერ ინარჩუნებენ და **თითქოს** — -**ო** კონსტრუქციით გადმოიცემა, ისეთი მოქმედების აღნიშვნაა, რომელიც ეს-ესაა მოხდა, ანდა მოქმედება გრძელდებოდა და თხრობის მომენტისათვის დასრულდება. მართალია, **III კავშირებითიც** გადმოსცემს დასრულებულ მოქმედებას, მაგრამ ამ მოქმედების დასრულებულობის ფაქტი შედარებით უფრო წინარე წარსულისაა, ვიდრე **თითქოს** — -**ო** კონსტრუქციით გადმოცემისას.

შღრ. მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

ხარი ჯერ ციბორუტივით დატრილდა, მერე თითქოს რაღაც განსაცვიფრებელი და ენახოს, გაჩერდა და თვალი გაუშტერდა (ნ. დუმბ.).

გაბედულად, უშიშრად შეჰყურებდა თერა, თითქოს პირველად ხედავსო, დაკვირვებით ათვალიერებდა (გ. შატბ.).

ან: არ იფიქროთ, რომ მე იმის მტრობა მპირებოდეს და შურისძიება მღობებოდეს (აკაკი).

მარე, თითქოს ეშმაკის გაფრთხობა უნდაო, პირჯერისწერას მოჰყვა და თვალი უფრო დააცქერა ბლადოჩინსა (ილია).

თითქოს — -ო კონსტრუქცია არა მხოლოდ III კავშირებითის შინაარსს გადმოსცემს. განგრძობითი მოქმედების აღნიშვნის უნარის გამო **თითქოს** — -ო კონსტრუქციით წარმოდგენილი აწმყოს ნაკვეთის ზმნების დიდი ნაწილი შეიძლება ნამყო უსრულით შეგვეცვალოთ.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იქ ეღუპებათ (ილია).

შეიძლებოდა: **ელუპებოდა.**

ასე ჩარბოდა, დარდით თუ წყენით ავსებული თვალები უკან რჩებოდა, თითქოს მამას ეთხოვებათ (გ. შატბ.).

შეიძლებოდა: **ეთხოვებოდა.**

დასასრულ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართულში, მიუხედავად იმისა, რომ ასე აქტიურად ენაცვლება III კავშირებითს II თურმეობითი, **თითქოს** — -ო კონსტრუქცია და ზოგიერთი სხვა ნაკვეთი, III კავშირებითის ფორმა ინარჩუნებს გამოყენების მტკიცე არეს, აქვს თავისი ფუნქციები და დანიშნულება, რომლის სრულფასოვნად შეცვლა სხვა არც ერთ ნაკვეთს არ შეუძლია. თავისი შინაარსობრივი სპეციფიკის გამო იგი, მართალია, ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასგზით არ შეიძლება ჩაითვალოს გაქრობის გზაზე დამდგარ ნაკვეთად.